პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

შაბათი
9
იანვარი
1937 წ.
№ 7 (4809)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

- ამხანაგმა სტალინმა მიიღო გერმანელი მწერალი ლ. ფეიხტვანგერი
- ვიბრძოლოთ მშენებლობის მაღალი ხარისხისათვის (მოწინავე)
- ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში
- მახარაძელთა გამარჯვება
- ნ. ოვსიანიკოვი — პირადი საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება (ფელეტონი)
- ეძ. დ. ლვინეფაძე — „წიგნი საქმოთი" (ფელეტონი)
- ზ. დადიანი — კვლევითი ზოოტექნიკური მუშაობა საქართველოში (ფელეტონი)

უცხოეთში:

- გააფთრებული ბრძოლა მადრიდისათვის
- მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა
- გერმანიის სიმაგრეები პოლონეთის საზღვარზე
- საფრანგეთ-თურქეთის მოლაპარაკება ალექსანდრეტის სანჯაყის შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა მიიღო გერმანელი მწერალი ლ. ფეიხტვანგერი

გუშინ, 8 იანვარს, ამხანაგმა სტალინმა მიიღო გერმანელი მწერალი ლ. ფეიხტვანგერი.

საუბარი გაგრძელდა სამ საათზე მეტს.

ვიბრძოლოთ მშენებლობის მაღალი ხარისხისათვის

კაცობრიობის განვითარების ისტორიას არ ახსოვს მშენებლობის ისეთი ტემპები, როგორიც ჩვენს გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყანაშია. ჩვენ გვეხერხება არა მარტო სწრაფი მშენებლობა, არამედ მივაღწიეთ მშენებლობის ხელოვნების მაღალ მწვერვალებს. ახალ ნაგებობებს ჩვენში თავისი შინაარსით, სილამაზით და გემოვნებით განცვიფრებაში მოჰყავს მთელი მსოფლიო. მოსკოვის მეტროპოლიტენი, არქიტექტურის ეს იშვიათი ნიმუში, ამის ნათელი მაჩვენებელია, თუ ხელოვნების რა ძეგლების აგება შეუძლია გამარჯვებულ პროლეტარიატს.

სოციალიზმის გამარჯვების ხანა ძლევამოსილი მშენებლობის ხანაა. ქარხანა გიგანტები, მრეწველობის ვეებერთელა კომბინატები, ახალი ქალაქების მშენებლობა, ძველი ქალაქების რეკონსტრუქცია, სარკინიგზო და საგზაო მშენებლობანი და სხვა, რასაც ათეული მილიარდები მოხმარდა თავისი მასშტაბით აკვირვებს კაცობრიობას.

ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკა მშენებლობის ტემპებით არ ჩამორჩება მოძმე რესპუბლიკებს. ათობით აიგო უდიდესი საწარმონი, ასობით—შუათანა და წვრილი საწარმონი, სახეშეცვლილი და რეკონსტრუირებულია ძველი საწარმოები, ძველი ქალაქები, გაყვანილი იქნა ახალი სარკინიგზო ხაზები და შტოები, ახალი საჰაპანო გზები, აიგო მუშათა და სტუდენტთა ქალაქები, საკურორტო და ჯანმრთელობის დაცვის კერები და სხვ. ასეულობით გამოიზარდა მშენებელთა კვალიფიციური კადრები, შეიქმნა საამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციები, საქართველოში მუშაობენ და მშენებლობას ეწევიან ათეული საამშენებლო ორგანიზაციები, რომელთაც მოეპოვებათ მშენებლობის მდიდარი პრაქტიკა, ჰყავთ გამოცდილი მშენებელი მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, გააჩნიათ რთული საამშენებლო მექანიზმები და სხვ.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვაქვს, ჩვენი მშენებლობის ბოლშევიკურ ტემპებს ჯერ კიდევ ყველგან ვერ შევუთავსეთ ბრძოლა იაფი და მაღალხარისხოვანი მშენებლობისათვის, მშენებლობის მაღალი ღირებულება მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფოს, ხშირად მშენებლები აშენებენ ცუდად, უხარისხოდ, ზოგჯერ კი არღვევენ დაწესებულ ვადებს.

ავიღოთ, მაგალითად, მშენებელი ორგანიზაცია „საქარხმშენი". გასულ წელს მას უნდა აეთვისებინა 21 მილიონი მანეთი, მაგრამ სამეურნეო წელი გარღვევით დაასრულა, აითვისა მხოლოდ 18 მილიონი მანეთი. „საქარხმშენის" ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველჰყო რეალიზაცია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს 1936 წლის 11 თებერვლის დადგენილებისა მშენებლობის გაიაფების შესახებ. 1935 წელთან შედარებით 1936 წელს მშენებლობის თვითღირებულება 13 პროცენტით შემცირების ნაცვლად შემცირებულია 9,8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულებულია 90 პროცენტით.

ზოგი საამშენებლო ობიექტის მშენებლობის ვადა დარღვეულია. მაგალითად, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის და „მკერავის" მშენებლობის გეგმა გ. წელს შესრულებულია 68 პროცენტით, თბილისის „მკერავის"—60 პროცენტით, ჭიანურდება ჭიათურის ზოგი საამშენებლო ობიექტის მშენებლობაც. მაგრამ ამაში მარტო „საქარხმშენს" არ მიუძღვის ბრალი, დამნაშავე არიან თვით შემკვეთელი ორგანიზაციებიც. ისინი დროზე არ იძლევიან მშენებლობის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას, დროზე არ აფინანსებენ მშენებლობას და სხვ.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა „საქმშენშიაც". მათ 23 მილიონ მანეთის ნაცვლად აითვისეს 18 მილიონი მანეთი. მშენებლობის თვითღირებულება 11 პროცენტის ნაცვლად შეამცირეს 5,4 პროცენტით. მშენებლობის ვადები აქაც დარღვეულია. ცალკე ობიექტებმა, როგორიცაა წიგნის სასახლის მშენებლობა, გორის და ხაშურის რაიაღმასკომის მშენებლობანი და სხვა, 1936 წელს გეგმა 45-50 პროცენტით შეასრულეს.

მშენებლობის მაღალ ტემპებს ვერ დაიჭვხნის „საქკურორტმშენიც". მათ გასული წლის გეგმა 95,5 პროცენტით შეასრულეს, ბორჯომის და წყალტუბოს საამშენებლო ობიექტებზე დარღვეულია მშენებლობის ვადები. შედარებით უკეთ აქვს საქმე თბილისის საბჭოს საამშენებლო ორგანიზაცია „ინჟმშენს". აქ წლიური გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს, აითვისეს გეგმით გათვალისწინებული 32 მილიონი მანეთი, წლის განმავლობაში დაზოგეს 4 მილიონი მანეთი, მშენებლობის თვითღირებულება 11,4 პროცენტის ნაცვლად 1935 წელთან შედარებით 15 პროცენტით შეამცირეს.

მშენებლობის ტემპების დაჩქარებას, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას და მშენებლობის გაიაფებას მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა მშენებლობაზე ღრმად დავნერგავთ სტახანოვურ მოძრაობას, როცა შენებას სტახანოვურად დავიწყებთ. ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ კარგად არა აქვთ შეთვისებული მშენებელ ორგანიზაციებს. მათ დღემდე ვერ მიაღწიეს საამშენებლო ობიექტებზე სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლას, სტახანოველთა რიცხვი მშენებელ მუშებში მცირეა, სტახანოვური ბრიგადები არ არის თბილისში. „საქმშენის" 650 მშენებელი მუშიდან სტახანოველია 134. „ინჟმშენის" 1700 მუშიდან სტახანოველია 26 პროც., „საქკურორტმშენის" მუშათა მხოლოდ 16 პროცენტი მუშაობს სტახანოვურად. ტექპროპაგანდის წრეები ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ. ამ წრეებში მუშათა ძალიან მცირე პროცენტია ჩაბმული. მთელ რიგ საამშენებლო ობიექტებზე მშენებელ მუშათა ყოფაცხოვრების პირობები მოუწესრიგებელია, საერთო საცხოვრებლები მოუწყობელია და სხვ. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მუშაობის ხარისხზე.

საამშენებლო ორგანიზაციებმა საფუძვლიანად უნდა გარდაჰქმნან მუშაობა. ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა მივაღწევთ სტახანოვური მოძრაობის უფრო ღრმად დანერგვას მშენებლობებზე, როცა უფრო მეტად შევაიარაღებთ მშენებლობებს მექანიზმებით, როცა უკეთ მოვაწყობთ შრომის ორგანიზაციას, უფრო მეტად ვიზრუნებთ მუშათა ტექნიკური დონის ამაღლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს საამშენებლო ორგანიზაციებს 1937 წელში გაცილებით უფრო დიდი სამუშაოები აქვთ, ვიდრე გასულ წელს ჰქონდათ. ამოცანა ის არის, რომ ჩვენმა მშენებლებმა მიმდინარე წელში ისწავლონ უფრო იაფად, უკეთესად და სწრაფად შენება, რომ ნაგებობანი უკეთესი ხარისხის და უკეთესი გემოვნებისა იყოს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კალინინის, დასავლეთის, კურსკის, სტალინგრადის, გორკის ოლქებში, ჩუვაშიის, მარიის და ყალმუხთა ასს რესპუბლიკებში, კაზახთა სს რესპუბლიკაში, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, საქართველოს სს რესპუბლიკაში, სომხეთის სს რესპუბლიკასა და უზბეკთა სს რესპუბლიკაში პურის ვაჭრობის შესახებ.

იმასთან დაკავშირებით, რომ კალინინის, დასავლეთის, კურსკის, სტალინგრადის, გორკის ოლქებმა, ჩუვაშიის, მარიის და ყალმუხთა ასს რესპუბლიკებმა, კაზახთა სს რესპუბლიკამ, ბელორუსიის სს რესპუბლიკამ, საქართველოს სს რესპუბლიკამ, სომხეთის სს რესპუბლიკამ და უზბეკთა სს რესპუბლიკამ შეასრულეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მათთვის დაწესებული პურის ჩაბარების წლიური გეგმები და უზრუნველჰყვეს თავიანთი თავი თესლით საგაზაფხულო თესვისათვის, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს ნება დართონ მოხსენებული ოლქებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს დაუბრკოლებლივ აწარმოონ თავიანთი პურის (ფქვილად, მარცვლად და გამომცხვარ პურად) მიყიდვა კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე მისი გაყიდვა საქალაქო და სასოფლო ბაზრებსა და რკინიგზების სადგურებზე.

◇

ინგლისის სამხედრო გემების გადაჯგუფება

რომი, 7 იანვარი (საქდესი). გაზეთ „სტამპის" ცნობით მიუხედავად ოფიციალური ორგანოების რწმუნებებისა, რომ ინგლისი გართულებათა შემთხვევაშიაც კი ნეიტრალიტეტს დაიცავსო, — ხმელთაშუა ზღვაში უკვე დაწყებულია ინგლისის სამხედრო გემების გადაჯგუფება. 5 იანვარს მალტიდან გიბრალტარისაკენ გავიდნენ კრეისერები „სუსექსი" და „არეტუზა", აგრეთვე კონტრნაღმოსნების მესამე ფლოტილია. 6 იანვარს იქითკენვე იგზავნება სახაზო გემი „კუინ ელიზაბეტ".

ესპანეთის მთავრობის ჯარების ინტერნაციონალური ბრიგადის მებრძოლები უნივერსიტეტის ქალაქის პოზიციებზე, მადრიდის ფრონტზე.

ფოტო „სოიუზფოტოსი"

გააფთრებული ბრძოლა მადრიდისათვის

მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა

პარიზი, 7 იანვარი (საქდესი). მადრიდის დაცვის კომიტეტი დღეს იუწყება:

„გუშინ პოსუელო დე ალარკონ-ელ პლანტიოს - ლას როსას რაიონში დაწყებული ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. გერმანიისა და მაროკოელთა ჯარები, რომლებიც ამ რაიონში არიან თავმოყრილი და რომლებსაც დიდძალი ტანკები უწევენ დახმარებას, ძლიერად აწვებიან ჩვენს ხაზებს. მთავრობის ჯარები, რომლებიც ძლიერ გამაგრდნენ თავიანთ პოზიციებზე გადამწყვეტ და ეფექტიურ წინააღმდეგობას უწევენ მტრის შემოტევას. მტერმა დიდი ზარალი ნახა განსაკუთრებით იმ ბრძოლებში, რომლებიც ლას როსას ირგვლივ სწარმოებს.

ჩვენ ხელთ ვიგდეთ მეამბოხეთა ერთერთი ტანკი".

ლონდონი, 7 იანვარი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტის გადმოცემით, მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ მიახამ დღეს პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: ყველაზე გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა, კერძოდ, ლას როსას რაიონშიო (მადრიდიდან ჩრდილო-დასავლეთით). მთავრობის ჯარების წინააღმდეგ, განაცხადა მიახამ, დგას 10 ათასი კაცისაგან შემდგარი გერმანიის ჯარი, რომელიც შეიარაღებულია სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ესპანეთის ფრონტებზე

ლონდონი, 6 იანვარი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ბარსელონელი კორესპონდენტის გადმოცემით, სამხრეთის ფრონტზე ლოპერასა და მონტოროში მთავრობის 20 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა პოზიციებს.

როგორც „დეილი ტელეგრაფის" მადრიდელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, გუშინ მადრიდის თავზე ბრძოლის დროს ჩამოაგდეს მეამბოხეთა 6 თვითმფრინავი, რომელთაგან სამ თვითმფრინავზე გერმანელი პილოტები ისხდნენ.

„ნიუს ქრონიკლის" მადრიდელი კორესპონდენტის გადმოცემით, გუშინ შეამჩნიეს, რომ მეამბოხეთა მოწინავე ნაწილებს მეთაურობენ გერმანელი ოფიცრები. კორესპონდენტის სიტყვით, მთავრობის ჯარები განაგრძობენ ნელ წინსვლას ვილავერდეს რაიონში (მადრიდიდან სამხრეთით) და ცოტაოდნად წინ წაიწიეს კარაბანჩელ ბახოს რაიონში. (მადრიდიდან სამხრეთ-დასავლეთით).

ბილბაო, 7 იანვარი (საქდესი). ასტურიის ფრონტზე პუერტო-დე პონტონის რაიონში (რიანოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით) მთავრობის ჯარებმა დაიკავეს სოფლები სოტო, ვალდეონი და პენიას დე ეუროპას მთების სამხრეთი ფერდობები, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ.

სანტანდერის ფრონტზე მეამბოხენი ცდილობდნენ კვლავ დაეკავებინათ დაკარგული პოზიციები პიკო დე ესპინოსაში (ვილარკაიოს ჩრდილოეთით), მაგრამ უკუგდებულ იქნენ და ბრძოლის ველზე დასტოვეს მრავალი მოკლული და დაჭრილი.

მადრიდის ფრონტებზე

მადრიდი, 7 იანვარი (საქდესი). გუშინდელ საღამოს ნაკრებ ცნობაში ნათქვამია, რომ მადრიდის ფრონტებზე მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა ძლიერი ბრძოლა ბოსკე დე რემისასთან, ელ პლანტიოს სამხრეთ-დასავლეთით. რესპუბლიკელები ინარჩუნებდნენ თავის პოზიციებს საღამომდე, რის შემდეგ დაიხიეს სარდლობის მიერ წინასწარ დასახული ხაზისაკენ.

იტალიის ჯარებს ფარულად ჰგზავნიან მეამბოხეთა დასახმარებლად

ლონდონი, 7 იანვარი (საქდესი). „დეილი ექსპრესის" რომაელი კორესპონდენტის ცნობით, იტალიის ჯარებს ესპანეთში გზავნიან იმ გემებით, რომლებიც ნომინალურად დაიარებიან აღმოსავლეთ აფრიკისაკენ. ამ ჯარებს გადმოსხამენ ხოლმე ტობრუკის ნავსადგურში (ლივია) და იქ ჩასვამენ ადგილობრივ ჯარების სათანადო რაოდენობას, რომლებსაც აღმოსავლეთ აფრიკაში ჰგზავნიან. შემდეგ იგივე გემები ბრუნდებიან ტობრუკს, სადაც გემზე სხამენ იტალიელებს ესპანეთის მაროკოში გადასაყვანად. ყოველივე ამას სჩადიან იმ მიზნით, რომ დაჰფარონ იტალიის ჯარების ნაწილების გაგზავნა ესპანელ მეამბოხეთა არმიაში.

ხელშეკრულება გერმანიასა და მეამბოხეთა წარმომადგენლებს შორის

ვარშავა, 7 იანვარი (საქდესი). პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგ ცნობას:

„ბერლინის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეში ამტკიცებენ, რომ გერმანიის მთავრობის ამასწინანდელ მოლაპარაკებას ესპანეთის მეამბოხეთა წარმომადგენლებთან შედეგად მოჰყვა დროებითი ხელშეკრულების დადება, რომლითაც გერმანიას უფლება ეძლევა აწარმოოს რკინის მადნის საბადოების ექსპლოატაცია ესპანეთის მაროკოში. გერმანიაში ამ მადნის გადატანა მოხდება გერმანიის გემებით, რომლებსაც დაიცავენ გერმანიის სამხედრო გემები. ამ ხელშეკრულების საფუძველზე გერმანიამ 1937 წელს უნდა მიიღოს 1 მილიონი ტონა რკინის მადანი".

გერმანიის ფლოტი მზვერავის როლში

ლონდონი, 7 იანვარი (საქდესი). ინგლისის გემ „ეტრიბის" ეკიპაჟის ერთერთმა მეზღვაურმა „მორნინგ პოსტის" ლივერპულელ კორესპონდენტთან საუბრის დროს დაადასტურა, რომ გერმანიის სამხედრო გემები ეწევიან დაზვერვას მეამბოხეთა სასარგებლოდ და აწვდიან მათ ცნობებს ესპანეთის წყლებში უცხოეთის გემების შესახებ. როდესაც ინგლისის გემი „ეტრიბი" მეამბოხეთა ტრალერებმა გააჩერეს და შემდეგ მან განაგრძო გზა, მას გვერდით ჩაუარა გერმანიის სამხედრო გემმა.

„ეტრიბმა" სალუტი მისცა ზარაფით, ხოლო გერმანიის სამხედრო გემი, ჩაუარა რა ინგლისის გემს, მაშინვე უკან დაბრუნდა. მეზღვაურის სიტყვით, როგორც სჩანს, გერმანიის ამ გემმა გადასცა ცნობები „ეტრიბის" შესახებ ესპანელ მეამბოხეთა ტრალერებს.

◇ ◇ ◇

გერმანიის სიმაგრეები პოლონეთის საზღვარზე

ვარშავა, 7 იანვარი (საქდესი). გერმანიის ავიაციის სამინისტრომ აკრძალა როგორც გერმანიის, ისე უცხოეთის სამოქალაქო თვითმფრინავების ფრენა მდინარე ვარტასა და ოდერს შუა მდებარე რაიონში, რომელიც პოლონეთის საზღვარს ეკვრის. ამასთან დაკავშირებით „გონეც ვარშავსკი" ათავსებს თავისი ბერლინელი კორესპონდენტის სტატიას სათაურით: „გერმანია პოლონეთის საზღვარზე აშენებს საფორტიფიკაციო ნაგებობებს".

კორესპონდენტი სწერს:

„მოცემული რაიონი წარმოადგენს ზოლს, რომელიც წამოყენებულია კიუსტრინისა და ოდერის ფრანკფურტის სიმაგრეების წინ. იგი იცავს მათთან მისასვლელებს. ამ რაიონში საფორტიფიკაციო სამუშაოების მიზანია შექმნას პოლონეთის საზღვარზე მოწინავე თავდაცვის ხაზი, რომელიც შეაჩერებს პოლონეთის შეტევის პირველ მიწოლას, მიმართულს პოზნან-ბერლინის ხაზით. თავდაცვის მეორე ხაზს წარმოადგენს მდინარე ოდერზე აგებულ სიმაგრეთა ზოლი:. ზემოაღნიშნულ რაიონში სწარმოებდა მიწის რაღაც საიდუმლო სამუშაოები. უამრავ ვატარებელს მოჰქონდა ლანდსბერგსა, ციურიხაუსა და კროსენში ცემენტი და ფურცლოვანი ფოლადი. ამ რაიონში აგრეთვე გაიგზავნა მესანგრეთა მრავალი ნაწილი და შექმნილია შრომის რამდენიმე ბანაკი. დიდი საფორტიფიკაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ პოლონეთის საზღვრის გასწვრივ იქმნება ძლიერი გამაგრებული რაიონი, რომლის მოწინავე ნაწილს წარმოადგენს თავდაცვის ხაზი ლანდსბერგსა და კროსენს შორის, ხოლო ბაზას — კიუსტრინის და ოდერის ფრანკფურტის სიმაგრეები. სიმაგრეთა ეს მძლავრი სისტემა უზრუნველჰყოფს გერმანიის არმიის ფლანგს პოლონეთის საზღვრის პირობებზე იერიშის მიტანის შემთხვევაში, აგრეთვე ძნელად გადასალახავ ზღუდეს ამართავს პოლონეთიდან ბერლინს მიმავალ გზაზე.

სვასტიკის ნიშნით

ვარშავა, 7 იანვარი (საქდესი). გაზეთ „კურიერ ვარშავსკი" ათავსებს თავისი სევილიელი კორესპონდენტის წერილს სათაურით „სევილია სვასტიკის ნიშნით". მთავარი, რაც ამ კორესპონდენტს თვალში ეცა სევილიაში, ეს არის გერმანიის სამხედრო წრეების ბატონობა. კორესპონდენტი სწერს:

„სალამანკაში ვნახე ბევრი გერმანელი. ბევრი გერმანელი ვნახე ბურგოსსა და ავილაშიც, მაგრამ სევილიაში ჩასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მე არავითარი წარმოდგენა არ მქონია ესპანეთში გერმანიის ინტერვენციის ნამდვილ ოდენობაზე. მე თვალი საბოლოოდ მხოლოდ სევილიაში ამეხილა. სევილია სავსეა გერმანელებით. მათ ასობით შეხვდებით ქუჩებში. მთელი კოლონები მიმოდიან ქალაქში და მღერიან ფაშისტურ ჰიმნებს. ყველა კაფესა, სასტუმროსა და რესტორანში ისმის გერმანული ლაპარაკი. მთელ ავიაციას, მოტორიზებულ რაზმებს, სახელოსნოებს, კავშირგაბმულობას მომსახურებას უწევენ გერმანელები. ცხადია, რომ ყველა ისინი — პროფესიონალი სამხედრო პირები არიან.

საფრანგეთ-თურქეთის მოლაპარაკება ალექსანდრეტის სანჯაყის შესახებ

ანკარა, 6 იანვარი (საქდესი). ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თევფიკ რუშტი არასმა სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე გააკეთა მოხსენება იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სწარმოებდა ჟენევასა და პარიზში ალექსანდრეტის სანჯაყის საკითხზე.

თევფიკ რუშტი არასმა აღნიშნა თავისი საუბარი საფრანგეთის პრემიერ ბლიუმთან, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა საკითხის იმგვარად მოწესრიგებას, რომ კარგი ურთიერთობა დარჩენილიყო საფრანგეთსა და თურქეთს შორის. არასის სიტყვით, ბლიუმმა წინადადება მისცა თურქეთის მთავრობას განეხილა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი სტატუტი, რომელიც დააკმაყოფილებდა თურქეთს. არასმა უპასუხა, რომ თურქეთი მაქსიმალური კეთილი სურვილით განიხილავდა ამ წინადადებას. ბლიუმი დაჰპირდა რომ დაუყოვნებლივ აცნობებდა ამას საგარეო საქმეთა სამინისტროს და რომ ეს პროექტი გადაეცემოდა თურქეთის მთავრობას. შემდეგ, არასის სიტყვით, საფრანგეთის ელჩმა, რომელიც 5 იანვარს დაბრუნდა პარიზიდან, განაცხადა, რომ არავითარი წინადადება არ ჩამოუტანია, მაგრამ იგი დაუყოვნებლივ დაუკავშირდება თავის მთავრობას და შესძლებს 2—3 დღის შემდეგ მოგვცეს პასუხი.

არასის განცხადებიდან, სწერს საქენტო, სჩანდა, რომ არ შეიძლება იმის გათვალისწინება, თუ როგორ წავა საქმე. დეპუტატები აკრიტიკებდნენ საფრანგეთის მთავრობის მოქმედებას მოლაპარაკების დროს და აღნიშნავდნენ, რომ თურქეთის საზოგადოებრივი აზრი უფრო ნათელ და ზუსტ პროცედურას ისურვებდა. ორატორები არ მალავდნენ თავის გაოცებასა და უკმაყოფილებას. თევფიკ რუშტი არასმა გამოსთქვა აზრი, რომ საჭიროა დამშვიდებით ვადევნოთ თვალყური ამბების ბოლომდე განვითარებას.

ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრის ახალი ბრწყინვალე დადგმა

„დარეჯან ცბიერის" წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგი სტალინი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები

მოსკოვი, 7 იანვარი (საქდესი). გუშინ სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრმა, განაგრძო რა ქართული ხელოვნების შესანიშნავი დეკადა, უჩვენა საქართველოს სახალხო არტისტის მ. ა. ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერი", საქართველოს სახალხო არტისტის ა. წუწუნავას დადგმით.

წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგები: სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, მიქოიანი, ხრუშჩოვი, შკირიატოვი, ბერია.

ოპერა „დარეჯან ცბიერის" სუჟეტად აღებულია ცნობილი ქართველი კლასიკოსი მწერლის აკაკი წერეთლის დრამატული პოემა. ოპერის მუსიკა, როგორც „დაისში", ღრმად არის გამსჭვალული ხალხური სულით. იგი ფრიად მელოდიურია, აღსავსეა ხალხური ჰანგების ლირიზმით.

წარმოდგენას დიდი წარმატება ჰქონდა. ეს წარმატება დამსახურებულია სახალხო არტისტის ა. წუწუნავას საუცხოო დადგმით, ორკესტრის ოსტატური დაკვრით დირიჟორი შ. აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით და შემსრულებელთა მთელი ანსამბლის საუცხოო თამაშით. ისე, როგორც „დაისში" ამ წარმოდგენაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა შესანიშნავი ცეკვა და გუნდი, რომელნიც ბრწყინვალედ ახასიათებდნენ საქართველოს ხელოვნებას.

საზოგადოება მხურვალედ ხვდებოდა წარმოდგენის ყოველ მოქმედებას. წარმოდგენის დასასრულს მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით მიესალმა თეატრის კოლექტივს. დამდგმელებსა და კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძეს.

მსახიობებმა და მაყურებლებმა საღამოს დასასრულს მქუხარე და აღფრთოვანებული ოვაცია გაუმართეს ამხანაგ სტალინს და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთ.

◇

35 წლისთავისათვის რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათომის პირველი კომიტეტის მოწყობის დღიდან

ბათომი, 8 იანვარი (საქდესი). 1901 წ. 31 დეკემბერს (13 იანვარს) ახალი წლის შეხვედრის საბაბით, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადმა, დიდმა სტალინმა მოაწყო რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათომის პირველი კომიტეტი.

ამჟამად ბათომის პარტორგანიზაციამ ფართოდ გაშალა მზადება ამ ისტორიული დღის აღსანიშნავად.

ყველა საწარმოში დიდი აღფრთოვანებით ტარდება ძველი მუშების მოგონებათა საღამოები, საუბრები და ამხ. ლ. ბერიას მოხსენების — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" პირველი განყოფილების კითხვა. ამ განყოფილების ყოველ პუნქტს დიდი ყურადღებით და ღრმად სწავლობს ამჟამად ბათომის ყველა მშრომელი.

◇ ◇

საუბარი დიდი სტალინის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ ბათომში

ბათომი, 8 იანვარი (საქდესი). 5 იანვარს „გლავნეფტის" ბაზაზე შედგა საღამო, რომელიც მიეძღვნა დიდი სტალინის მიერ რსდმპ ბათომის პირველი ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტის ორგანიზაციის 35 წლისთავს.

ლოზუნგებით, პლაკატებით და ბელადთა პორტრეტებით მორთულ საქარხნო კლუბში თავი მოიყარა ახალგაზრდობამ და წარმოების 120 ძველმა მუშამ, რომელთაც აქვთ საწარმოო სტაჟი ხრანაკლებ 20 წლისა.

ნაშუაღამევამდე გაგრძელდა შეგობრული საუბარი მშრომელთა ბელადის — ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ 1901-1902 წლებში.

მოგონებებით პირველი გამოვიდა მემანქანე ინჟერებიანი, რომელსაც აქვს ბაზაზე მუშაობის 55 წლის საწარმოო სტაჟი, პარტიის წევრი 1917 წლიდან და ბათომის 1902 წ. 9 მარტის დემონსტრაციის აქტიური მონაწილე.

იგი ტრიბუნაზე შესცვალა ბაზის ყველაზე ძველმა ნავთჩამსხმელმა მუშამ 56 წლის საწარმოო სტაჟით, სულმთლად თოვლივით გათეთრებულმა მოხუცმა შიმანსკიმ. შემდეგ გამოვიდნენ: ნავთჩამსხმელი დიმიტრი ნადარეიშვილი, 53 წლის საწარმოო სტაჟით; მემანქანე ლავრენტი კაჟაძე; ნავთჩამსხმელი სამსონ ფაჩულია; ნავთჩამსხმელი გერასიმე კარამოვი; მემანქანე ვასილ ქუთათელაძე.

მათი ნაამბობი დამსწრეთა მეხსიერებაში აცოცხლებს იმ წლების სურათს, როცა ბათომის პროლეტარიატმა პირველად დაიწყო დიდი სტალინის ხელმძღვანელობით თავისი ძალების შეგროვება თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბელადის სახელის ყოველ ხსენებაზე დამსწრენი ფეხზე ამდგარი მართავდნენ მქუხარე ოვაციას მის მიმართ.

დაძაბული ყურადღებით ისმენს ახალგაზრდობა მოხუცთა თვითეულ სიტყვას პარტიის საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის შესახებ.

◇

მახარაძელთა გამარჯვება

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. ლ. ბერიას

მახარაძის რაიონის პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა პირველი სტახანოვური წელი გამარჯვებით დაამთავრეს:

1936 წ. სახელმწიფოს ჩავაბარეთ 5.453.100 კგრ. ჩაის ფოთოლი — გეგმის 103,5 პროცენტი. 1935 წლის 1.600 კგრ. ნაცვლად, ჰექტარზე საშუალო მოსავალი აყვანილ იქნა 1.800-მდე. შექმნილია ციტრუსების სანიმუშო სანერგე მეურნეობა. ციტრუსების 5-წლიანი გეგმის შესასრულებლად რაიონში ტრიფოლიატი პიკირებულია 50 ჰექტარზე. სანერგეებში დარგულია 3 მილიონი საძირე ტრიფოლიატი, რომელზედაც დამყნილია 2.318.735 ძირი ციტრუსი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.992.000 ძირისა. გაშენებულია 80 ჰექტარი ციტრუსოვანები, ნაცვლად 40-ისა — გეგმა შესრულებულია 200 პროცენტით. გაშენებულია 5 ჰექტარი ტუნგოს სანერგე, სადაც გამოყვანილია 163.640 ძირი ნერგი.

მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით.

ყველა სახის დამზადების გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით. აბრეშუმის პარკი ჩაბარებულია 201 ტონა — გეგმის 100.3 პროცენტი. სახელმწიფოს ჩავაბარეთ ციტრუსოვანთა 24 მილიონი ცალი ნაყოფი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 18 მილიონისა (გეგმის 133 პროცენტი). ხორცის დამზადების სახელმწიფო ვალდებულება შესრულებულია 100 პროცენტით, ხილისა — 127-ით, სოიას დამზადება — კონტრაქტაციის 101 პროცენტით, სოიას დამზადება კონტრაქტაციის ზევით —102 პროცენტით, ყურძნის დამზადება 102 პროცენტით, ფულადი სახსრების წლიური გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით.

ჩაის ნიადაგი მომზადებულია 120 ჰექტარი — გეგმის 100 პროცენტი. ჩაი დაითესა 150 ჰექტარზე (გეგმის 100 პროცენტი).

ჩაის პლანტაციების კაპიტალური რემონტი ჩატარდა 287 ჰექტარზე, მიმდინარე რემონტი — 2.192 ჰექტარზე, შებარვა — 2.245 ჰექტარზე. გაკეთებულია ახალი დრენაჟი 223.070 სიგრძივ მეტრზე, ძველი დრენაჟის რემონტი—309,009 მეტრზე. დამზადებულია 328.067 კილოგრამი ჩაის თესლი.

გრძელვადიანი საწარმოო კრედიტები ჩაის, ტუნგოს, ციტრუსების სანერგეებისა და პლანტაციების, დაფნის, სუბტროპიკული მეხილეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის, ელექტროფიკაციის და სხვ. ხაზით— 6.089.550 მან. ოდენობით მთლიანად ათვისებულია.

სტახანოვურ წელს გამოიზარდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც შრომის ფრონტზე სასწაულებს ახდენენ. ასეთებია: ყარამან მიმინოშვილი (ნატანების კოლმეურნეობა), გიორგი გორგილაძე (ნატანები), ეკა მალაზონია, პ. მუჯირი, ლ. ჩხაიძე (გურიანთა), ან. ლესელიძე (ხვარბეთი), ეკ. ვასაძე (მერია), გოგოლა ჩხარტიშვილი, შოთა დობორჯგინიძე, მარიამ ცინცაძე, ნიკიფორე ჩხარტიშვილი, ყარამან ტაკიძე (ჯუმათი), თეოფილე ანდღულაძე, ხარიტონ მგელაძე, ვანო სალუქვაძე (ძიმითი) და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი: **მ. კილაძე.**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **კ. გოგუაძე.**

ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში

კიდევ ახალი გამარჯვება

(მოსკოვი, ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ქართული ხელოვნების დეკადის გუშინდელმა, მესამე დღემ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ახალი ტრიუმფი მოუტანა. ისევე, როგორც პირველ წარმოდგენაზე, დარბაზი გაიჭედა ხალხით დიდი ხნით ადრე სპექტაკლის დაწყებამდე. დამსწრენი მოუთმენლად ელოდნენ მელიტონ ბალანჩივაძის ოპერის დაწყებას. პარტერში მაყურებელთა შორის არიან: საკავშირო პროფსაბჭოს გენერალური მდივანი ამხ. შვერნიკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. მ. მოსკვინი, დიდი და მცირე თეატრების და მოსკოვის მხატვრული აკადემიური თეატრის ბევრი მსახიობი. ამ წარმოდგენაზე, ისე როგორც პირველზეც, ბევრი მუსიკალური კრიტიკოსი და გაზეთის წარმომადგენელია. ის იყო დირიჟორმა აზმაიფარაშვილმა აიქნია თავისი ჯოხი და ორკესტრმა დაიწყო უვერტიურა, რომ მთავრობის ლოჟაში გამოჩნდნენ ამხანაგები: სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, მიქოიანი, ხრუშჩოვი, შკირიატოვი, ბერია. იმ წამსვე მთელი თეატრი ტაშის გრიალმა გააყრუა. დამსწრენი მიესალმებოდნენ ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს.

პირველმა მოქმედებამ დიდი წარმატებით ჩაიარა. დიდი წარმატება ხვდა დავით გამრეკელს, რომელიც მგოსნის როლს ასრულებდა. მისმა მოხდენილმა ფიგურამ, საუცხოო გარეგნულმა მონაცემებმა, ძლიერმა სუფთა ხმამ ყველა დამსწრეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

დიდი აღფრთოვანებით მღეროდა ცირას როლს მსახიობი მალკოვა. ოდნავ უფრო სუსტად, ვიდრე ოპერა „დაისში", ჟღერდა ხმა ქუმსიაშვილისა, რომელიც ნიკოს როლს ასრულებდა. მქუხარე ტაში გამოიწვია პირველი აქტის საფინალო ცეკვამ.

დარბაზი დიდი აღფრთოვანებით მიესალმა მალკოვას მეორე მოქმედებაში, მას შემდეგ, რაც მან თავისი განთქმული „ნანა" შეასრულა. ხშირად აჯილდოვებდნენ ტაშით მსახიობ ცომაიასაც, რომელიც დედოფალ დარეჯანის როლს ასრულებდა. საუცხოოდ ჩაიარა უკანასკნელმა მესამე აქტმაც. მაყურებლები მხურვალედ მიესალმნენ დ. გამრეკელს, რომელმაც დიდი აღფრთოვანებით შეასრულა მგოსნის როლი. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ დამსწრენი მქუხარე ოვაციებით მიესალმნენ თბილისის ოპერის საუცხოო არტისტებს. ამხანაგი სტალინი და მისი ერთგული თანამებრძოლნი ლოჟაში მდგომი ტაშს უკრავდნენ არტისტებს. ფარდა დაეშვა, როდესაც იგი ხელახლა ასწიეს, სპექტაკლის მონაწილე ყველა არტისტები, გუნდის მსახიობები და კომპოზიტორი ბალანჩივაძე მთავრობის ლოჟისკენ მიმართულნი ტაშისცემით და ხელის ქნევით მიესალმნენ მშრომელი კაცობრიობის დიდ ბელადს. მთელი დარბაზი მყისვე შეუერთდა ძვირფასი ბელადისადმი უღრმესი სიყვარულისა და ერთგულების ამ გამოვლინებას. რამდენიმე წუთის განმავლობაში მქუხარე ოვაციები არ შეწყვეტილა.

O

ანტრაქტებში თქვენი კორესპონდენტი ესაუბრა ამ საუცხოო სადღესასწაულო სპექტაკლის ცალკე მაყურებლებს.

საკავშირო პროფსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ამხ. შვერნიკმა განაცხადა: „მე შესაძლებლობა მქონდა მომესმინა სპექტაკლი. ქართული ოპერა კლასიკურ ოპერებთან შედარებით როგორღაც განსაკუთრებით ატკბობს სმენას. მასში მოცემულია განსაკუთრებული ბგერები, რომელთა მოსმენის დროს უნებლიეთ აღტაცებაში მოდიხარ. მასობრივი ცეკვისაგან დაუვიწყარი შთაბეჭდილება დამრჩა. ეს სპექტაკლი დიდი მიღწევაა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუშაობა რეჟისორ წუწუნავასი, რომელმაც შესძლო იშვიათი ნიჭის გამოჩენა.

O

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. მ. მოსკვინმა განაცხადა: „ორი სიტყვა სავსებით გამოხატავს ჩემს შთაბეჭდილებას — ძალიან კარგია. ამ ოპერაში მუსიკა, სოლო, მასობრივი მოქმედებანი ორგანიულად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ერთ მხატვრულ მთელს წარმოადგენს. ვუსურვებ ოპერას შემდგომ წარმატებას".

O

ცნობილმა ლიტერატურულმა კრიტიკოსმა პროფ. ი. ი. ანისიმოვმა თქვენს კორესპონდენტს განუცხადა: „ბრწყინვალე და თავისებური მუსიკაა. იგი დამაჯერებელი, ვაჟკაცური და ღრმად ნაციონალურია".

O

დღეს მოსკოვის პრესა აღნიშნავს „დარეჯან ცბიერის" დიდ წარმატებას. „ტრუდ", „კომსომოლსკაია პრავდა", „ზა ინდუსტრიალიზაციუ", „კომუნისტიჩესკოე პროსვეშჩენიე", „რაბოჩაია მოსკვა", აფასებენ რა გუშინდელ სპექტაკლს, სწერენ საბჭოთა ქართული ხელოვნების საუცხოო აყვავების შესახებ. ისინი სწერენ, რომ ქართული დეკადის რაც უფრო მეტი დღე გადის, მით უფრო საგრძნობი ხდება სრულიად სახალხო კულტურული ზეიმი.

„პრავდა" ათავსებს დირიჟორ ნებოლსინის და მწერალ ვს. ვიშნევსკის სტატიებს. ამ სპექტაკლისადმი მიძღვნილ რეცენზიაში „პრავდა" სწერს, რომ „ამ ოპერის მუსიკა მელოდიების დაუსრულებელი ნაკადია და ამაშია მისი მთავარი ღირებულება. მუსიკის მხრივ ყველაზე საინტერესოა მეორე აქტი, რომელიც უდიდესი გულთბილობით, გულწრფელობით მელოდიურობით განსხვავდება. რეცენზიაში აგრეთვე აღნიშნულია ოპერის ზოგიერთი სტილიური ნაკლი და რომ მკაფიო მომენტებთან ერთად, რაც ნამდვილ ნაციონალურობას მოწმობს, მუსიკაში ზოგჯერ გაისმის ნაკლებად დამაჯერებელი მოტივები.

O

დღეს დიდ თეატრში შესდგება ქართული მუსიკის კონცერტი. ხვალ 9 იანვარს, მოსკოველები მოისმენენ ფალიაშვილის მეორე ოპერას „აბესალომ და ეთერს".



ოპერა „დარეჯან ცბიერი"—მ. ბალანჩივაძისა. პირველი აქტის დეკორაციის მაკეტი. („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ძლიერებით აღსავსე ხელოვნება

მოსკოვს უნახავს რუსთაველის საუცხოო თეატრი. მოსკოვს არ დავიწყდება საქართველოს ფილმებიც, რიტმიკულად მსუბუქნი, მოძრაობითა და სინათლით აღსავსენი. მოსკოვი შეხვედრია ამ მოძმე რესპუბლიკის ბრწყინვალე პოეტებს. ჩვენ ტაშს ვუკრავდით პავლე იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს.

ზაქარია ფალიაშვილი, ქართული ოპერის შემქმნელი საქართველოს მუსიკას ისმენდა მთებში, გზებზე, ბნელ ღამეში. მან შემოიარა თავისი სამშობლო. იგი აგროვებდა, იმახსოვრებდა და იწერდა მუსიკას — გულისა და აზრის ვიბრაციას.

იგი მუშაობდა და ჰქმნიდა წლობით, ათეული წლობით — ცხრაასიანი წლების დასაწყისიდან. მან შექმნა ხალხური ოპერების ნიმუშები.

„დაისი". მტრედისფერი სისხამდილა ნაღვლიანი მელოდია, რომელიც სადღაც შორს ზურნაზე სრულდება. ღიაფერის ტანისამოსში გამოწყობილი ცქრიალა ქართველი ქალები. და შორიდან მოისმის ახალი მელოდია — ლაშქრობიდან მომავალი მეომრის სიმღერა.

იგი უმღერის ერთერთ ქალიშვილს. მზად არის მის გულისათვის მტრის ბანაკის შუაგულში შეიჭრას. მზად არის მის გულისათვის ღმერთს განუდგეს, მზად არის მის გულისათვის ჯოჯოხეთში ჩაეშვას.

რა ფერადოვანია ხალხის ეს ჯგუფები? რა რიტმულად მოძრაობენ შავტანსაცმლიანი და ვერცხლით მოსირმული მეომარნი. რა საოცარია ფერხული! დიაღ, ეს — ცოცხალი კავკასიაა, ეს — საქართველოა, ეს მისი სიხარული, სიცილი, მისი ღვინო, მისი ჯანსაღობა.

მთებიდან მოულოდნელად მოვიდა კაცი. სწორედ მას მოაქვს უბედურება. შიში და მწუხარება მოჰბერს მისგან.

ღამით თავის სახლთან ქალიშვილი ემუდარება ბედს. ეს ოპერის ერთერთი საუკეთესო არიაა, ლირიზმით აღსავსე.

მთასა და ბარში გაისმის საომარი ძახილი. ქართველ მეომართა თავმოყრა, ხალხის ქორალი ომში წასვლის წინ. ფიგურებისა და ჯგუფების მთელი გამოკვეთა მეხსიერებაში გრჩება.

მე ვფიქრობ, რომ ამ სცენის დროს დიდი თეატრის მიწყნარებულ დარბაზში არაერთხელ უფიქრნია მაყურებელს იმაზე, თუ როგორ აღსდგება კავკასია, როგორ აღსდგება მთელი ჩვენი ქვეყანა, როცა მტერი ხელს შეახებს ჩვენს საზღვრებს, სახლებს, უფლებებსა და პატიოსნებას.

მოსულიც მზადაა ხალხთან ერთად წავიდეს საომრად. იგი ფიცსა სდებს ზეამართული ხმლით. მაგრამ, როცა ხედავს ქალიშვილსა და თავის მეტოქეს, მას ყველაფერი ავიწყდება. იგი იძრობს ხმალს. გააფთრებული, იგი შეაჩვენებს ადამიანებს. ქვემოდ, ბარიდან განუწყვეტლივ ამოდიან მეომრები.

ისინი სიმღერით მიდიან მტერზე. ეჭვით დაბრმავებული, მოსული შედრკა, სინიდისის ქეჯნა იგრძნო, დახარა ხმალი.

იგი და მისი მეტოქე საჭირონი არიან სამშობლოსთვის.

ეს მაღალი დრამატიზმის მომენტია...

მაგრამ კიდევ რამდენიმე წამი, და მოსულს კვლავ იპყრობს ძველი კაცობრიობის შავბნელი სიღრმიდან გამოსული სიბოროტე, და იგი ჰკლავს მის წინაშე მდგომს.

გლოვა ჰფარავს საბრძოლო ლაშქრობის დასაწყისს. მეომრები შეჩერდნენ. ისინი პირქუშად უცქერიან მიწაზე გართხმულ სხეულსა და ბოროტმოქმედს.

ქალები იხდიან მანდილსა და წამოსასხამს და თმებს იშლიან. გაფითრებული სახეები მიპყრობილია მოკლულისაკენ. გულმოკლული ქალიშვილი ეთხოვება საყვარელს არსებას.

კლდეებზე, გზაზე, დაღვრემილი დგანან შეიარაღებული მამაკაცები. და მაშინ გამოდის ძველი მეომარი. იგი საქვეყნოდ არცხვენს იმას, ვინც დაივიწყა ადამიანის უმაღლესი ვალი. დამნაშავე შიჰყავთ. სამმა მეომარმა ჩაავლო მას ხელი. იგი მიდის ადამიანთა განაჩენით და საკუთარი დანაშაულით განადგურებული. მზით განათებული კლდეები საშიშრად გამოიყურებიან... ის არ არის მეომარი, ვინც ქალის სიყვარულისათვის სამშობლოს ივიწყებს.

დროშები დახრილია მოკლულის თავზე, რომელიც სხვებთან ერთად უნდა წასულიყო საომრად. ხალხური ჰიმნი — მოძრაობისაკენ მოწოდება — ფეხზე აყენებს დაჩოქილ ქალებს. მათი თვალები მიპყრობილია შორს, საქართველოს სივრცეში. მიცვალებულიც ასწიეს. ზეაღმართა ხმლები და შუქით განათებული ადამიანები იჩქარიან საბრძოლველად.

ყოველივე ეს მართალია ისე, როგორც თვით ცხოვრება. ყოველივე ეს პირდაპირი, მშვენიერი და სწორია.

საქართველოს თეატრმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა ნათელი და ძალღონით აღსავსე ხელოვნება. მოსკოვი მადლობას უხდიდა ამ ხელოვნების შემოქმედთ, მადლობას უხდიდა სულითა და გულით.

ვს. ვიშნევსკი.

(„პრავდა").

რას სწერენ მოსკოვის გაზეთები

სპექტაკლ „დარეჯან ცბიერზე" დღეს „პრავდაში" ათავსებს წერილს ა. ხარიტონოვი.

ქართველი ხალხის საუკუნოებრივი ვოკალური კულტურა აისახა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაშიც. დიდი მუსიკალური ფორმების შექმნისას მათ უპირველეს ყოვლისა ხელი მოჰკიდეს ოპერებს. ქართული ოპერის ერთერთი ფუძემდებელი, — აღნიშნავს ხარიტონოვი, — არის მელიტონ ბალანჩივაძე — „დარეჯან ცბიერის" ავტორი.

„ამ ოპერის მუსიკა, — სწერს ხარიტონოვი, — მელოდიების უსაზღვრო ნაკადია, და ამაშია მისი ძირითადი ღირებულება. მუსიკის მხრივ ყველაზე საინტერესოა მეორე აქტი, განსაკუთრებით კი პირველი და მეორე სურათები. ამ სურათებს არაჩვეულებრივი სითბო, გულწრფელობა და მელოდიურობა ახასიათებს. შესანიშნავია ქალთა გუნდი (მეორე აქტის დასაწყისში), რომელიც დედოფლის სილამაზეს უმღერის. არანაკლებ მშვენიერია იავნანაც, რომელსაც ცირა მღერის.

დიდი ინტერესით უმზერ ცეკვასაც. ქართულ ოპერებში ცეკვას დიდი ადგილი უჭირავს. უნდა ითქვას, რომ იგი ისეთი ტემპერამენტითა და ლამაზად სრულდება, რომ მუდამ მაყურებელთა აღტაცებას იწვევს.

ჩვენის აზრით, უფრო სუსტია მუსიკა მეორე აქტში — ნიკოს შემოსვლის სცენაში — და ზოგიერთი ადგილი მესამე აქტში".

აღნიშნავს რა ოპერის სტილისტურ უსწორმასწორობას ავტორი დასასრულ ჩერდება მისი უვერტიურის მუსიკაზე.

„მ. ბალანჩივაძის დამსახურება, — აღნიშნავს იგი, — ის არის, რომ პატარა უვერტიურაში მან შესძლო გამოეხატა ნამდვილი სიმფონიზმის თავისებურებანი. სიმფონიურ მუსიკაზე მომუშავე ქართველმა კომპოზიტორებმა უნდა გაითვალისწინონ ეს მნიშვნელოვანი ფაქტი. საქართველოს ახალგაზრდა კომპოზიტორებმა უნდა შექმნან დიდი სიმფონიური ტილოები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუსიკალური შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს არა მარტო ოპერა, არამედ სიმფონიაც".

ვს. ვიშნევსკი სტატიაში „ძლიერებით აღსავსე ხელოვნება", რომელიც დაბეჭდილია „პრავდაში", ეხება ოპერა „დაისს". რუსთაველის მშვენიერი თეატრის შემდეგ „საქართველოს თეატრმა, — სწერს ვიშნევსკი, — ერთხელ კიდევ გვიჩვენა ნათელი და ძლიერებით აღსავსე ხელოვნება. მოსკოვი მადლობას უცხადებდა ამ ხელოვნების შემოქმედთ, მადლობას უცხადებდა მთელი სულითა და გულით".

დირიჟორი ვ. ნებოლსინი შენიშვნაში „დიდი კულტურის მოვლენა" თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლების შესახებ სწერს, რომ ისინი მომწიფებული და დამთავრებულია, „როგორც კი შეიძლება დამთავრებული იყოს ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები".

სასიამოვნოდ გაოცებს ორკესტრი, — აღნიშნავს შემდეგ ნებოლსინი და უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ბალეტი, ქართული ბალეტი განსაცვიფრებელია. მშვენიერია ყველა გუნდი.

„საერთოდ, — ამთავრებს ნებოლსინი თავის შენიშვნას, — ყოველივე ის, რაც ჩვენმა ამხანაგებმა — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუშაკებმა გვიჩვენეს, მოწმობს, თუ რა სიმაღლეზეა ქართული ხალხის ხელოვნება. შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ თბილისის თეატრის სპექტაკლები მოსკოვში წარმოადგენენ ნამდვილ დღესასწაულს მთელი ჩვენი საბჭოთა ხელოვნებისათვის".

ხელოვნებათა დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი კ. იუონი „იზვესტიაში" იძლევა სპექტაკლების დეკორატიული ნაწილის შეფასებას.

დიდი კულტურის მოვლენა

როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე წასასვლელად ვემზადებოდი, ველოდი, რომ ვნახავდი კარგ საინტერესო სპექტაკლებს, რადგან ზოგი რამ უკვე გაგონილი მქონდა ამ თეატრზე. მაგრამ სინამდვილემ ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. ის, რაც ჩვენ, მოსკოველებს, გვიჩვენა უკანასკნელ დღეებში ქართულმა მუსიკალურმა თეატრმა, დიდი კულტურის მოვლენაა. მისი სპექტაკლები მომწიფებული, დასრულებულია, როგორც შეიძლება დასრულებული იყოს ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები.

სასიამოვნოდ გაოცებს თბილისის თეატრის ორკესტრი. და განსაკუთრებით მე, როგორც დირიჟორი, აღვნიშნავ ორკესტრის საუცხოო სიმწყობრეს. მის მუშაობაში სჩანს ყველა იმ ნაწარმოების სერიოზული და გულმოდგინე დამუშავება, რომელსაც იგი ასრულებს, დაუცხრომელი შრომა და საქმის ნამდვილი სიყვარული. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ მაყურებელს ენახა ნამდვილი საოპერო ხელოვნება.

კიდევ უფრო მეტ შთაბეჭდილებას სტოვებს ცეკვა. ქართული ბალეტი განსაცვიფრებელია. ის განსაკუთრებული წარმატება, რომელიც წილად ხვდათ მოსკოვში საქართველოს ნაციონალურ ცეკვათა შემსრულებლებს, — სავსებით დაიმსახურეს მათ. და მე ვიყავი ერთი იმ მაყურებელთაგანი, რომლებიც შეიძლება სხვებზე უფრო უკრავდნენ ტაშს შესანიშნავ არტისტებს.

საუცხოოა ყველა გუნდი. უნდა აღვნიშნოთ გუნდის განსაკუთრებული შეხმატკბილება კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის" პირველ აქტში.

მთლიანად ყოველივე ის, რაც ჩვენმა ამხანაგებმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუშაკებმა გვიჩვენეს, მოწმობს, თუ რა სიმაღლეზე დგას ქართველი ხალხის ხელოვნება. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის თეატრის სპექტაკლები მოსკოვში ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენს მთელი ჩვენი საბჭოთა ხელოვნებისათვის.

დირიჟორი ვ. ნებოლსინი.

(„პრავდა").

ნ. ოსიანიკოვი

პირადი საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბატონობს საწარმოო საშუალებათა და იარაღების, მიწის კერძო კაპიტალისტური საკუთრების უფლება. კაპიტალისტებმა გამოაცხადეს, რომ კერძო საკუთრება წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელია. ისინი საწარმოო საშუალებებს მოკლებულ ადამიანთა შრომის ექსპლოატაციის უფლებას წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელ უფლებად სთვლიან.

საბჭოთა კავშირში საწარმოო საშუალებათა და იარაღების კერძო საკუთრება გაუქმებულია. საბჭოთა კავშირის ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება.

საზოგადოებრივ, სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერატიულ საკუთრებასთან ერთად, სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ პირადი საკუთრება. სტალინური კონსტიტუციის მე-10 მუხლი ამბობს:

„მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება მათს შრომით შემოსავალსა და დანაზოგზე, საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე საოჯახო მეურნეობაზე, საოჯახო მეურნეობისა და ყოფაცხოვრების საგნებზე, პირადი მოხმარებისა და კეთილყოფის საგნებზე და აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლება დაცულია კანონით". სსრ კავშირის ძირითადი კანონი, ამგვარად, აწესებს მოქალაქეთა პირადი საკუთრების ხელშეუხებლობას და დაცვას კანონით და ამ საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას. პირადი საკუთრების ცნება განსაკუთრებით მკაფიოდ და ნათლად არის ფორმულირებული ახალ კონსტიტუციაში. როგორც ცნება შრომითი საკუთრებისა მისი წარმოშობის წესის მიხედვით და სამომხმარებლო საკუთრებისა ობიექტის მიხედვით, — ეს ცნება გამორიცხავს მიწისა და საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებას.

ბურჟუაზიული კანონმდებლობებისათვის უცხოა პირადი საკუთრების კატეგორიები. ბურჟუაზიულ წყობილებაში პირად საკუთრებას სავსებით ჰფარავს კერძო საკუთრების ცნება. რსფსრ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსები, შედგენილი ნეპის პირველ პერიოდში, 1922 წელს, ერთგვარი შეზღუდვით იწყნარებენ საწარმოო საშუალებათა და იარაღების კერძო საკუთრების არსებობას. 1936 წ. კონსტიტუციამ არ იცის კერძო საკუთრება, რომელიც იწყნარებდეს სხვისი შრომის ექსპლოატაციას, მაგრამ იმავე დროს მე-10 მუხლში იგი სავსებით იცავს კანონით სსრ კავშირის მოქალაქეთა პირად საკუთრებას.

თავის ისტორიულ მოხსენებაში საბჭოების მე-8 ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „...ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი. (ხანგრძლივი ტაში).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგში ყველა ამ ცვლილებათა შედეგად ჩვენ ახლა გვაქვს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, არ იცის სიღატაკე და გაჩანაგება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს ყოველგვარ საშუალებას შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის".

და შემდეგ:

„ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარქსისტები სხვანაირად კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, სოციალიზმი. (ხანგრძლივი ტაში). კომუნიზმის ამ ფაზის ძირითად პრინციპს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფორმულა: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით".

საბჭოთა მუშა და მოსამსახურე თავისი შრომისათვის, რომელსაც იგი აძლევს სოციალისტურ საზოგადოებას, ღებულობს შრომის ხელფასს და მას შეუძლიან იგი თავისი შეხედულებისამებრ დახარჯოს. კოლმეურნე, ღებულობს რა ნატურანაზღაურებას შრომადღეების მიხედვით, ნაწილობრივ მის რეალიზაციას ახდენს საკოლმეურნეო ბაზარზე და შემოსავალს ხარჯავს თავისი მოთხოვნილებებისათვის. 1935 წ. კომბაინერების თათბირზე ერთერთი დამკვრელი დელეგატის გამოსვლის დროს, რომელიც თავის დიდ შემოსავალზე ლაპარაკობდა, ამხანაგმა სტალინმა ესროლა რეპლიკა: „ფული თქვენია — თქვენი საქმეა, როგორც გენებოთ, ისე ხარჯეთ".

კონსტიტუცია განამტკიცებს და იცავს ამ უფლებას. მშრომელის შემოსავლის ჩამორთმევა არ შეიძლება. თუ მას ჭარბი შემოსავალი აქვს, მას შეუძლიან გადასდოს დანაზოგი თავისთვის და თავისი ოჯახისათვის. ეს დანაზოგი ხელშეუხებელია. მისი საოჯახო საგნები, მისი ოჯახის მოწყობილობა, ნივთები, წიგნები, ხელოვნების საგნები მის პირად განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენს. მას შეუძლიან გაიჩინოს დამხმარე საოჯახო მეურნეობა, მას შეუძლიან ააშენოს საცხოვრებელი სახლი — და უკვე არა შენობის აგების უფლებით, ე. ი. ჩვეულებრივ 30—40—50 წლის ვადით დროებითი ფლობის უფლებით, როგორც ამას 1922 წ. სამოქალაქო კოდექსი უშვებს, არამედ პირადი საკუთრების უფლებით, რაც არავითარი ვადით არ არის განსაზღვრული. მაგრამ სსრ კავშირის მოქალაქეს უფლება არა აქვს მოიხმაროს თავისი სახსრები, თუნდაც პირადი შრომით ნაშოვნი, საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა შესაძენად, იმ მიზნით, რომ მათი საშუალებით ექსპლოატაცია გაუწიოს სხვის შრომას.

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია აღნიშნავს კერძო კაპიტალისტური საკუთრების უკანასკნელი ნაშთების მოსპობას და ყოველნაირად იცავს პირად შრომითს საკუთრებას.

პირადი საკუთრება არ ეწინააღმდეგება სოციალისტურ საკუთრებას, არამედ სავსებით გამომდინარეობს მისგან, რადგან წარმოადგენს სოციალისტურ წარმოებაში მუშის ან გლეხის მონაწილეობის შედეგს და მისი შრომის პროდუქტს. ეს მისი შემოსავალია. ენგელსი „ანტი-დიურინგში" სწერდა: „...მომავალ საზოგადოებაში გაბატონებული იქნება ერთდროულად ინდივიდუალური და საზოგადოებრივი საკუთრება... მდგომარეობა შექმნილი ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციით, აქ ხასიათდება, როგორც ინდივიდუალური საკუთრების აღდგენა, მაგრამ მიწისა და თვით შრომით შექმნილ საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე." *)

მუშა და გლეხი კაპიტალიზმის დროსაც ჰფლობს პირად საკუთრებას საოჯახო მოწყობილობისა ან საცოდავი სახლის სახით, რაც მას შეუპოვარი და მრავალი წლის შრომით შეუძენია. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიამ კერძო საკუთრება გამოაცხადა როგორც წმინდათაწმინდა ხელშეუხებელი, მშრომელის პირადი საკუთრება კაპიტალიზმის დროს ყველაზე ნაკლებადაა ხელშეუხებელი. მოუსავლიან წელიწადში, როცა გლეხს არ შეუძლიან დროზე შეიტანოს გადასახადი, ან ბანკის პროცენტები დაგირავებული მიწისათვის, არა მარტო მის პირუტყვსა და მიწის ნაკვეთს, არამედ მის საოჯახო ნივთებსაც ჩალის ფასად ჰყიდიან საჯარო ვაჭრობით. უმუშევრობის პერიოდში მუშა იძულებულია გაჰყიდოს მთელი თავისი დოვლათი, ოჯახი ქუჩაში დასტოვოს და სამუშაოს საძებნელად დაიწყოს ხეტიალი. კერძო საკუთრების უფლება ყველაზე ნაკლებად იცავს მშრომელის პირად საკუთრებას კაპიტალის მიერ ჩაყლაპვისაგან. პირიქით, პირადი საკუთრება შეიძლება განმტკიცდეს და უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ სოციალისტური საკუთრების საფუძველზე სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც არ არის უმუშევრობა და სადაც მშრომელი ავადმყოფობისა ან ინვალიდობის შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფით სარგებლობს. თავისი დანაზოგისათვის, თავისი სახლისათვის სსრ კავშირის მშრომელს შეუძლიან დამშვიდებული იყოს, მაშინ, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოს მუშას ან გლეხს შეუძლიან ყოველ წუთს მთლად დაჰკარგოს ისინი.

სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ამჟამად ჩვენში მოქმედებს, საგრძნობლად მოძველდა და მთელ რიგ ანაქრონიზმებს შეიცავს. ზოგ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსი, შემუშავებული ნეპის პირველ პერიოდში, იწყნარებს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებას. ამავე დროს იგი საკმაოდ ვერ იცავს და აწესრიგებს პირად საკუთრებას. ჩვენი სამოქალაქო კოდექსი ძირფესვიანად უნდა გადამუშავდეს, ან ხელახლა გადაკეთდეს.

მუშაობა კოდექსის მოსამზადებლად უკვე გაძლიერებული ტემპებით სწარმოებს.

პირადი საკუთრების დაცვა ჰგულისხმობს მის გადაცემას მემკვიდრეობით. მშრომელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის ქონებასა და დანაზოგს მემკვიდრეობით მიიღებს მისი ოჯახი, მისი ახლობლები. ამიტომ კონსტიტუციის მე-10 მუხლი აწესებს არა მარტო პირადი საკუთრების უფლების დაცვას კანონით, არამედ აგრეთვე ავრცელებს მას ამ საკუთრების მემკვიდრეობით მიღების უფლებაზე.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში მემკვიდრეობა უაღრესად მჭიდროდაა დაკავშირებული კერძო საკუთრების ინსტიტუტთან, წარმოების კაპიტალისტურ წესსა და თვითონ ბურჟუაზიის არსებობასთან. დაგროვილი სიმდიდრე, რაც ადამიანებზე ბატონობის საშუალებას იძლევა და შესაძლებლობას უქმნის საწარმოო იარაღების მესაკუთრეებს ექსპლოატაცია გაუწიონ მუშის შრომას, გვარიდან გვარში გადადის და კაპიტალისტის შთამომავლობას უნარჩუნებს ზედმეტი ღირებულების მიღების უფლებას.

საბჭოების ქვეყანაში გამარჯვებულ პროლეტარულ რევოლუციას, რომელმაც ამოცანად დაისახა კაპიტალიზმისა და კაპიტალისტური საკუთრების მოსპობა, არ შეეძლო თავიდანვე დაეშვა კერძო საკუთრების მემკვიდრეობით გადასვლა.

მეტად საინტერესოა თვალი გავადევნოთ თუნდაც ზოგადად საბჭოთა მემკვიდრეობის უფლების ისტორიას. რსფსრ სახკომსაბჭოს 1918 წ. 27 აპრილის დეკრეტით მემკვიდრეობის უფლება როგორც კანონით, ისე ანდერძით გაუქმებულ იქნა. 1919 წ. 11 მარტს ასეთივე დეკრეტი გამოვიდა უკრაინაშიც. გარდაცვლილის ქონება გადადიოდა საკუთრებად სახელმწიფოს ხელში. დაშვებული იყო მხოლოდ უახლოესი შრომისუნარ მოკლებული ნათესავების უზრუნველყოფა. ზოგ შემთხვევაში ნებადართული იყო არა უმეტეს ათი ათასი მანეთის ქონების გადაცემა მეუღლისა და შვილების განკარგულებაში. იმ პერიოდში ამ საკანონმდებლო ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: იგი კერძო კაპიტალისტური საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემის ნებას არ იძლეოდა და მით ხელს უწყობდა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას. შემდგომ, 1923 წელს, მემკვიდრეობის უფლება მიენიჭათ შვილებს, გარდაცვლილის მეუღლეს, მშობლებსა და კმაყოფაზე მყოფთ — არა უმეტეს 10.000 მანეთის თანხისა. ძმები და დები მემკვიდრეობას არ ღებულობდნენ. კანონი არ იწყნარებდა ანდერძის შედგენას გარეშე პირთა ან შორეულ ნათესავთა სასარგებლოდ. ქონების ანდერძით დატოვება შეიძლებოდა მხოლოდ იმათ სასარგებლოდ, ვინც კანონით მოწოდებული იყო მიეღო მემკვიდრეობა. 1926 წ. 1 მარტიდან სსრ კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ მოხსნეს მემკვიდრეობითი გადასაცემი თანხის შეზღუდვა და წინადადება მისცეს მოკავშირე რესპუბლიკებს შესაბამისად შეეცვალათ რესპუბლიკური კანონმდებლობა. მემკვიდრეობის უფლების ერთგვარი გაფართოვება უკვე მაშინაც შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ ძირითადად კაპიტალისტური საკუთრების ექსპროპრიაცია უკვე გატარებული იყო, და იმის შიშისათვის, რომ მემკვიდრეობით მოხდებოდა მსხვილი ქონების გადაცემა, საფუძველი აღარ არსებობდა.

სტალინური კონსტიტუცია, რომელიც განსაკუთრებულად აღნიშნავს პირადი საკუთრების მემკვიდრეობით მიღების უფლების დაცვას, ახლებურად აყენებს საკითხს. სოციალისტურ საზოგადოებაში კაპიტალისტური საკუთრება ვერ ისარგებლებს კანონის დაცვით, არ შეიძლება დაშვებულ იქნას არც მისი მემკვიდრეობით მიღება, ვინაიდან საზოგადოდ არ არის დაშვებული კაპიტალისტური საკუთრება. მშრომელის პირადი საკუთრება დაცულია კანონის მთელი ძალით, ხოლო მემკვიდრეობით მისი გადაცემის უფლებას სახელმწიფო იცავს. ამჟამად აღარ არის აგრეთვე საჭირო მემკვიდრეთა წრის მეტისმეტად შეზღუდვა. მემკვიდრეობის მიღების უფლება შეიძლება მიენიჭოთ უახლოესი ნათესავების არარსებობისას ძმებსა, ძმისწულებსა და დისწულებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი შრომისუნარმოკლებული არიან. მემკვიდრეთა წრის კიდევ უფრო გაფართოვება თვით უაღრესად შორეულ ნათესავებამდე, ზოგჯერ მეათე ან მეოცე ხაზამდე, როგორც ამას ბურჟუაზიული კანონმდებლობანი უშვებენ, ჩვენის აზრით, არ არის საჭირო. კაპიტალისტურ ქვეყნებში იშვიათი შემთხვევა არაა მოულოდნელი მემკვიდრეობის მიღება რომელიმე მესამე, ან მეოთხე ხაზის მამიდისაგან, რომელიც მემკვიდრეს არასოდეს არ უნახავს და რომლის არსებობა, შესაძლოა, არც იცოდა.

ანდერძის უფლებაც შეიძლება ამჟამად გაფართოვდეს და შესაძლებელი გახდეს ქონების ანდერძით დატოვება არა მარტო იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც კანონით ერთერთ მემკვიდრეს წარმოადგენს, როგორც ამას მოქმედი სამოქალაქო კოდექსი მოითხოვს, არამედ იმ გარეშე პირის სასარგებლოდაც, რომელიც ნათესაობით არ არის დაკავშირებული. ყველას შეიძლება ჰყავდეს ახლობელი პირი ან მეგობარი, რომლის უზრუნველყოფითაც იგი დაინტერესებულია. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას კანონით მემკვიდრეობის ერთგვარი სავალდებულო წილის გამოყოფა ახლობელი ნათესავებისათვის მათი შრომისუნარმოკლებულობისა, ან არასრულწლოვანობის შემთხვევაში. ანდერძის დამტოვებლის ნებით ყველაზე ახლობელ შრომისუნარმოკლებული ნათესავებისათვის მემკვიდრეობის წართმევა არ შეიძლება დაშვებულ იქნას.

საბჭოთა კავშირი გადაიქცა სოციალისტურ სახელმწიფოდ. შრომა საბჭოთა კავშირში წარმოადგენს ყოველი შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობასა და ღირსების საქმეს შემდეგი პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, იგი ვერც სჭამს". ღებულობს რა ჯილდოს თავისი მონაწილეობისათვის საზოგადოებრივ წარმოებაში „თავისი შრომის მიხედვით", სსრ კავშირის მოქალაქეს, კაპიტალისტური საზოგადოების პროლეტარისა ან გლეხისაგან განსხვავებით, შეუძლიან დარწმუნებული იყოს, რომ მთელი მისი მონაგარი დარჩება მის პირად საკუთრებად, რომელსაც ვერავინ ვერ ხელჰყოფს და რომელიც შეუძლიან მას გადასცეს მემკვიდრეობით ახლობელ ადამიანებს.

ახალი კონსტიტუცია, უზრუნველჰყოფს რა სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომის უფლებას, უზრუნველჰყოფს მათს პირად საკუთრებასა და კეთილდღეობას. მართალი იყო დიდი სტალინი, როცა მოხსენებაში საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე კონსტიტუციის შესახებ სთქვა: „ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე. სსრ კავშირში ფართო, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე".

„იზვესტია", 1936 წ. 27 დეკემბერი.

---

*) ენგელსი. „ანტი-დიურინგი". პარტგამომცემლობა. 1934 წ., გვ. 92. (რუს.).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

პარტიულ თემაზე

რამდენიმე საათი პროპაგანდისტ თავაძესთან

პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი წრის პროპაგანდისტად მაუდის ფაბრიკაში მუშაობს ამხ. სიმონ თავაძე.

...2 იანვარს პარტიული სწავლების დღეს ამხ. თავაძე თავის დროზე მოვიდა მეცადინეობაზე, ხოლო მსმენელებმა ჩვეულებრივ დაიგვიანეს. მეცადინეობის დაწყებამდე მხოლოდ ოთხი მსმენელი იყო მოსული, მეცადინეობის დამთავრებამდე კიდევ სამი მოვიდა.

პროპაგანდისტმა მეცადინეობის პირველი მეოთხედი მსმენელთა „შემოწმებას" მოანდომა. „შემოწმება" მეტად ძუნწად და უსიცოცხლოდ მიმდინარეობდა.

— აბა, სალომე, მიპასუხე, რამდენი მოკავშირე რესპუბლიკაა ამჟამად საბჭოთა კავშირში და ჩამოთვალე სახელწოდებანი?

სალომე კობახიძემ მრავალი შეცდომით ჩამოთვალა 11 რესპუბლიკა და მდუმარედ ელოდება ახალ შეკითხვას.

— ვის აქვს მათ შორის ყველაზე მეტი უფლებები?

— რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკას! — სწრაფად უპასუხა სალომემ.

პროპაგანდისტი უსწორებს ამ შეცდომას და სწრაფად გადადის სხვა შეკითხვაზე.

— აბა, ვასო, შენ მითხარი, რომელ პალატას მეტი უფლება აქვს: კავშირის თუ ეროვნებათა საბჭოს?

ვასო ტატანაშვილს არ აცლიან მსმენელები და ერთხმად უპასუხებენ: „კავშირის საბჭოს მეტი უფლებები აქვს".

პროპაგანდისტი უსწორებს შეცდომას.

მრავალ შეცდომას უშვებენ მსმენელები პასუხების გაცემის დროს, მაგრამ პროპაგანდისტი მათ ყურადღებას აღარ აქცევს. ის ჩქარობს, ცდილობს რაც შეიძლება მეტი შეკითხვები მისცეს მსმენელებს და სრულიად არ უწევს ანგარიშს მსმენელების მცდარ პასუხებს. მაგალითად, იგი შეეკითხა მსმენელებს დეპუტატების არჩევნების შესახებ. მსმენელებმა შეცდომით უპასუხეს, რომ 3 ათას მოსახლეობაზე (ნაცვლად 300 ათასისა) ერთი დეპუტატი ირჩევაო. პროპაგანდისტმა ეს პასუხი სწორად მიიღო და განაგრძო მეცადინეობა.

ის იმდენად ჩქარობს და ფორმალურად ეპყრობა მსმენელთა შემოწმების საკითხს, რომ ზოგჯერ, როდესაც მსმენელი შეკითხვაზე პასუხის გაცემას აგვიანებს, თვითონვე უპასუხებს. მაგალითად, ის შეეკითხა მ. მჭედლიშვილს:

— კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სესიები ერთსადაიმავე დროს იწვევა თუ სხვადასხვა დროს?

მარო დაფიქრდა. მაგრამ პროპაგანდისტის ტემპერამენტი ვერ ითმენს ამ სიდინჯეს, ის „მოწყალე მასწავლებლის" როლში გამოდის და თვით იძლევა პასუხს:

— ერთსადაიმავე...

— დროს... — ერთად აბოლოვებენ პროპაგანდისტის დაწყებულ სიტყვას მსმენელები.

— უზენაესი საბჭო ვის ირჩევს? — ეკითხება პროპაგანდისტი და, რაკი სიჩუმეა, თვითონვე უპასუხებს:

— თავ...

— ...მჯდომარეს, — კვლავ ერთხმად აბოლოვებენ მსმენელები.

— მოადგი...

— ...ლეებს. — ასე მომღერალთა გუნდივით პროპაგანდისტის დაწყებულ „მოტივებს" ერთხმად აბოლოვებენ მსმენელები.

30 წუთს გაგრძელდა ეს „პროცედურა".

შემდეგ პროპაგანდისტი გადადის ახლის „ახსნაზე".

აი ახსნის მეთოდიც.

კონსტიტუციის წიგნს გადასცემს ერთ მსმენელს და ეუბნება: „წაიკითხე ხმამაღლა მე-4 თავიდან". მსმენელი კითხულობს. თვითეული მუხლის წაკითხვის შემდეგ პროპაგანდისტი აჩერებს მას და ეკითხება მსმენელებს: — გასაგებია?

— გასაგებია... — უპასუხებენ ისინი.

— აბა, სალომე, გასწი წინ.

სალომეც აგრძელებს კითხვას...

ზოგჯერ პროპაგანდისტი ცდილობს „თავი გამოიჩინოს" მსმენელებთან და კონსტიტუციის ზოგიერთ „ბუნდოვანი" მუხლის განმარტებას იწყებს. მაგრამ ვაი რომ მიკიბულ-მოკიბული განმარტებებით უფრო აბუნდოვანებს მას. მაგალითად, მან სცადა განემარტა მსმენელებისათვის, რას ნიშნავს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო (64 მუხლი). დაიწყო ახსნა-განმარტება, მაგრამ თავი ვერ გაართვა, ბოლო ვერ მოაბა და გაჩერდა.

პროპაგანდისტმა მეცადინეობის დამთავრებისას მსმენელებს მისცა „მტკიცე" დავალება.

— კონსტიტუციის თვითეული მუხლი ზეპირად ისწავლეთ, თორემ შემდეგ თავს ვეღარ დაიხსნითო. მსმენელებმა ბუზღუნი დაიწყეს: „ზეპირად როგორ ვისწავლოთ, კარგად ვერ გავიგეთო". მაგრამ მათ ბუზღუნს პროპაგანდისტმა ყური არ ათხოვა. მან სთქვა და ამით თავისი „მოვალეობა" მოიხადა.

პირველი მეცადინეობა დამთავრდა. 20 წუთის შემდეგ მოვიდა ამავე წრის მსმენელთა მეორე ნაწილი. მეცადინეობის დაწყებისას მხოლოდ 9 მსმენელი იყო. გამოკითხვის შემდეგ 15-მდე შეგროვდა, მეცადინეობის დასასრულს კი უკვე 20-ზე მეტი იყო. მსმენელების ნაწილი მეცადინეობის დროს ფეხზე იდგა, ნაწილი მაგიდაზე ჩამომჯდარიყო, უმრავლესობა პალტოებითა და ქუდებით იჯდა. მეორე მეცადინეობამაც ისევე უსიცოცხლოდ ჩაიარა როგორც პირველმა, ისეთივე სტანდარტული შეკითხვები, ისეთივე მოკლე პასუხები, ისეთივე მიკიბულ-მოკიბული ახსნა-განმარტებანი „ბუნდოვან საკითხებზე". ერთი სიტყვით, ამ მეცადინეობასაც მრავალი ნაკლი ახასიათებდა.

რა გვეთქმის ასეთ პროპაგანდისტზე? აშკარად შეიძლება ვთქვათ, რომ მას არა აქვს საგნის მტკიცე ცოდნა, ცოტას მუშაობს საკუთარი იდეური დონის ამაღლებისათვის, წინასწარ არ ამზადებს დასამუშავებელ თემებს, არ იცის, რა მეთოდით უნდა იმუშაოს პარტგანათლების სკოლაში და, რაც მთავარია შესწავლილი არა ჰყავს თავისი მსმენელები. მას არც ფაბრიკის პარტკაბინეტი უწევს საჭირო დახმარებას. პარტკაბინეტის გამგე უფრო წვრილმანი საქმიანობით არის გატაცებული. ის თავის მოვალეობად სთვლის პარტიული მეცადინეობის დღის გამონახოს პარტიული წრის სამეცადინო ოთახი, მოამარაგოს მსმენელები სკამებით და ლიტერატურით. ნამდვილად კი პარტკაბინეტის როლი უფრო დიდია.

პარტიული პროპაგანდა დიდი და სერიოზული პარტიული საქმეა. პროპაგანდისტისაგან ის მოითხოვს საკითხების ბოლშევიკურად შესწავლას, თავისი საქმის ულრმეს სიყვარულს. პროპაგანდისტს თუ ეს თვისებები არა აქვს, ის ღირსეულად ვერასოდეს ვერ შეასრულებს პროპაგანდისტის საპატიო ამოცანას.

ალ. გვინჩიძე

დავიცვათ ციტრუსები ყინვისაგან

(ბათომი. „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

1935 წლის 5 ნოემბერს საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა და სსრკ სახკომსაბჭომ თავისი დადგენილებით საქართველოს ბოლშევიკების წინაშე დასვეს უდიდესი პასუხსაგები ამოცანა — 1940 წლისათვის ციტრუსებით დაკავებული ფართობის 20.000 ჰექტარამდე გაზრდა.

ამ ამოცანის ბოლშევიკურად განხორციელება მოითხოვს ციტრუსოვანთა ნერგების სამაგალითოდ მოვლა-პატრონობას საქართველოს და ნაწილობრივ აჭარის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სათბურებში.

საქ. კ.პ. (ბ) აჭაროლქკომმა სამაგალითო ხელმძღვანელობა გაუწია ამ მხრივ ყველა იმ მეურნეობებს, სადაც ციტრუსოვანთა გაშენებას მისდევენ.

ამჟამად აჭარაში მშვენიერი მზიანი ამინდები დგას, მაგრამ ღამით საგრძნობლად ჰყინავს. თუ დღისით მზეში ტემპერატურა 20-22 გრადუსამდე ადის, ღამით იგი მინუს 2-3 გრადუსამდე ეცემა.

აჭარის მეტეოროლოგიური სამმართველო იძლევა სიგნალს, რომ ყინვები ღამით უფრო იმატებს. მოსალოდნელია 9-10 გრადუსს მიაღწიოს.

საქ. კ.პ. (ბ) აჭაროლქკომმა მიიღო სასწრაფო ზომები იმისათვის, რომ ახლავე შემოწმდეს ყველა მეურნეობა, მიღწეულ იქნას სათბურებში ნორმალური ტემპერატურა და გამოყენებულ იქნას ყველა აგროღონისძიება, რომ ტემპერატურის ცვალებადობამ ციტრუსოვან ნარგავებსა და ნერგებზე არ იმოქმედოს.

პირველ რიგში შემოწმებულ იქნენ აჭარის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობათა ტრესტის მეურნეობანი.

ახალშენის საბჭოთა მეურნეობის სათბურში დღეისათვის მოთავსებულია 32.000 ძირი ნერგი; მახინჯაურში — 43.000, მეოთხე საბჭ. მეურნეობაში 90.000; მახვილაურის სათბურებში — 32.000 და მესამე საბჭ. მეურნეობაში — 10.000.

მახინჯაურში რამდენიმე სათბურია, თითო მათგანი 10-12 ათას ნერგს იტევს. სათბურები სინათლიანია, მინები ყველგან შეკეთებული და ახლად ჩასმულია. ყოველ სათბურზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ტემპერატურის ცვალებადობას, რწყავენ ნერგებს, ანთებენ საჭიროების დროს სპეციალურ ნავთქურებს.

მოვლის მსვლელობას სისტემატურად ამოწმებენ აგრონომები და დირექტორები. აქ ყველა სათბურები სამაგალითო მდგომარეობაშია და ყოველი ნერგი კარგად გამოიყურება.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა მეოთხე და მეორე საბჭოთა მეურნეობებში.

მეოთხე მეურნეობაში მანდარინის ნერგების ნაწილი დატოვებულია ღია კვლებში, რომელთაც დასავლეთის მხრიდან აღმართული აქვს ხის კედლები კახაბერის მიდამოებში მძვინვარე დიდი ქარებისაგან დასაცავად. ღამ-ღამობით, როცა ყინვა მატულობს, ამ ნარგავების გასწვრივ ანთებენ ნახერხის ცეცხლს, რომელიც თავისი „ბოლის ფარდით" მშვენივრად იცავს ნარგავებს.

საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ყინვებს, არ დაკმაყოფილდნენ მიღწეული წარმატებებით და თვითონ გაუწიონ ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება სათბურებში მომუშავე მუშებსა და აგროტექნიკურ პერსონალს.

ზოგიერთი რაიონიდან სიგნალებია, რომ ინდივიდუალური მეურნენი საფუძვლიანად არ ატარებენ ციტრუსოვანთა შეფუთვას და ყინვისაგან დაცვას. მაგალითად, გონიოს სოფსაბჭოში, სადაც ყველაზე უფრო მეტი რაოდენობითაა გაშენებული ფორთოხლის და ლიმონის ხეები, ინდივიდუალური მეურნეობების დიდ ნაწილს ჯერაც არ შეუფუთავს ძვირფასი ხეები.

საჭიროა იქნას მიღებული ახლავე ზომები ასეთი დაუდევრობის წინააღმდეგ.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მეხუთე პლენუმზე ამხ. ლ. ბერიამ თავის სიტყვაში მიგვითითა, რომ „შემდეგ წლებში გაშენების უზრუნველსაყოფად აუცილებლად უნდა გვქონდეს 18 მილიონზე მეტი ნერგი, ამათში 1937 წელს 1.100 ათასი ცალი"...

საბჭოთა აჭარა ბოლშევიკურად შეასრულებს ამ უდიდეს პასუხსაგებ ამოცანას—არ შესცივდეს არცერთ ციტრუსოვან ნერგს. 1937 წელს ჩვენ უნდა გვქონდეს ციტრუსოვანთა 1.100.000 ცალი ნორჩი ხე.

შ. ფურცხვანიძე.

◇ ◇ ◇

მიღწევებთან ნაკლიც არის

„საქსოფმომარაგების" გორის განყოფილებამ (დირექტორი ამხ. მ. ურიათყოფელი), რომელიც მომსახურებას უწევს ქართლის ყველა რაიონს და სამხრეთ-ოსეთს, უკანასკნელ ხანებში ენერგიულად გაშალა მუშაობა გეგმების წარმატებით შესრულებისა და კოლმეურნეობათა უკეთ მომსახურებისათვის.

გორის სარაიონთაშორისო განყოფილებამ 1936 წლის სამი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ასევე წარმატებით დაასრულა IV კვარტალის გეგმის შესრულებაც. განყოფილების მთელი მუშაობა ამჟამად იქითკენ არის მიმართული, რომ ორგანიზაციამ რენტაბელურად იმუშაოს. ამ მხრივ უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. სახსრების დაგროვება უდრის 46,000 მან. გორის სარაიონთაშორისო განყოფილების მუშაობა კიდევ უფრო ეფექტური იქნებოდა, კასპის და ბორჯომის რაიონების და სამხრეთ-ოსეთის მიწგანები, მტს-ები რომ სათანადოდ ზრუნავდნენ მანქანა-იარაღების შეძენისათვის. მათ თვეობით არ მიაქვთ დანიშნულ ადგილებზე გამოწერილი მანქანა-იარაღები.

ბორჯომის რაიონის მიწგანმა მესაქონლეობის ფერმებისათვის მოითხოვა წყალის-სასმელები, დიდი სასწორები, ლურსმანი და სხვა, მაგრამ როდესაც მას ატყობინებენ, ესენი უკვე მიღებულია, იგი თვეობით აგვიანებს მათ წაღებას. ასევე ითქმის კასპის მტს-ზე.

სამხრეთ-ოსეთის მიწსახკომმა განყოფილებას დაკვეთა მისცა 100 ცალ გუთანზე, მაგრამ გამოისყიდა მხოლოდ 60 ცალი.

„საქსოფმომარაგება" სეზონურად და დროულად არ აწვდის ხოლმე განყოფილებას დაკვეთილ მანქანა-იარაღებს, რის გამო ხელი ეშლებათ კოლმეურნეობებს დასახული გეგმების შესრულებაში. ეს ნაკლოვანებანი გორის სარაიონთაშორისო ბაზას ფინანსიურ სიძნელეებს უქმნის და აფერხებს სოფლის მეურნეობის მომარაგებას საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით.

ზ.—ძე.



ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი-სტახანოველი კომკავშირელი ამხ. ბელოზეროვი ნორმებს 175 პროცენტით ასრულებს. ამხ. ბელოზეროვი მოემზადა წარმოების მოუწყვეტლივ და ჩააბარა გამოცდა მფრინავის სახელწოდებაზე. სურათზე: ამხ. ბელოზეროვი თავის დაზგასთან. ფოტო ბუდეშტკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

უხეირო მუშაობის მაგალითი

წალკის რაიონში სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა ძალიან მოიკოჭლებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ დამზადებებზე. 11 თვის განმავლობაში შესრულებულია მხოლოდ ზოგიერთი საქონლის დამზადების გეგმა (ღორის ტყავი, ჯაგარი, ცხენის ძუა და სხვ.). დანარჩენი დამზადებანი მთლად ჩაშლილია.

გეგმების ჩაშლის გამო გადახარჯულია დიდი თანხები დამზადებათა დარგში. კვარტალიდან კვარტალამდე სისტემატურად არ სრულდება საპაიო გამოსაღებთა შეგროვების გეგმები. ასე, მაგალითად, 1936 წლის პირველ ნახევარში გეგმა 68 პროცენტით შესრულდა, მესამე კვარტალის გეგმა კი მხოლოდ 38 პროცენტით.

რით აიხსნება ასეთი ჩამორჩენა? იმით, რომ წალკის რაიკოოპკავშირი სუსტადაა დაკავშირებული მეპაეთა მასებთან, მთლად ჩაშლილია მასობრივი მუშაობა, არ ხორციელდება კოოპერატიული დემოკრატია — ხალხის მონაწილეობა კოოპერაციის საქმიანობაში.

მართალია, რაიკოოპკავშირი ბოლო ხანებში შეუდგა საპაიო თანხების შეგროვებაში ჩამორჩენის ლიკვიდაციას, მაგრამ დაუშვებელი წესით. მაგალითად, როზენბერგის სოფლის მაღაზიის საჩივართა წიგნში ეწერა: „ნოქრები მომხმარებლებს საპაიოს ძალად ახდევინებენ, თუ მომხმარებელმა არ გადაიხადა, საქონელს უჭერენ".

როზენბერგის სოფლის მაღაზიის შემოწმებისას მომხმარებლები ჩიოდნენ: „საქონელს ვყიდულობთ. ფულს ფასზე მეტს გვახდევინებენ, ისე, რომ არც კი გვიხსნიან, რისთვის და რატომო".

აქვე უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ საპაიო გამოსაღებს ასეთი დაუშვებელი წესით ახდევინებენ, მომხმარებლებს საპაიო მარკებს ხელზე მაინც არ აძლევენ.

საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების მიუხედავად, ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ვაჭრობის გეგმები არ სრულდება. მაგალითად, სამი კვარტალის განმავლობაში შაქარი გეგმის მხოლოდ 74,77 პროც. გაიყიდა, მარილი — 41,74 პროც., საპონი — 76 პროც.

შემოწმებამ ცხადჰყო, რომ მთელ რიგ სავაჭროებში (წალკის მეთაურის დუქანი, როზენბერგის სოფლმაღი და სხვ.) სამი კვირის განმავლობაში არა ჰქონდათ მარილი, 5 დღეს შაქარი, ზოგ სავაჭროებში კი მთელ ორი თვის განმავლობაში არა აქვთ შაქრის ფხვნილი, დაფქვილი მარილი და სხვ. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლით ვაჭრობის გეგმის ჩაშლა წალკის რაიონის კოოპერატორთა უხეირო მუშაობით აიხსნება. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი მოითხოვს, სავაჭროებში ამ საქონელს მაინც ვერ ნახავთ.

წალკის რაიონის მთელ რიგ სავაჭროებში არის შემთხვევები, რომ მომხმარებელთ ზომა-წონაში ატყუებენ. მაგალითად, ზოგან საწონების უქონლობის გამო ხმარობენ კვერცხებს, პაპიროსის კოლოფებს და სხვ.

ძალიან ცუდად მოწყობილია სასადილოები, წალკის სასადილო ყოვლად აღმაშფოთებელ მდგომარეობაშია; შენობა ცუდია, შიგ უსუფთაობაა და სხვ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით წალკის რაიონში სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ, დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა პრაქტიკაში გატარებითაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ყველა აღნიშნულ უმსგავსობასა და დამახინჯებას.

წალკის რაიონში სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა თავისი მოწოდების სიმაღლეზე უნდა დადგეს.

ლი.

შ. დადიანი

საქ. კვლევითი ზოოტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი

კვლევითი ზოოტექნიკური მუშაობა საქართველოში

ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე საქართველოს ერთი კვლევითი დაწესებულებაც არ მოეპოვებოდა მეცხოველეობის დარგში.

მეცხოველეობის საცდელი სადგური საქართველოში პირველად 1928 წელს დაარსდა ქ. თბილისში. 1931 წელს ეს სადგური, მისი საქმიანობის გაფართოვების გამო, გადაკეთდა ა-კ. მეცხოველეობის კვლევით ინსტიტუტად, რომელსაც ამავე დროს რესპუბლიკური სადგურის მოვალეობაც დაეკისრა.

ამჟამად საქ. კ. პ. (ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტისა და ა.-კ სახკომსაბჭოს დადგენილებათა თანახმად, ხსენებული ინსტიტუტი რეორგანიზებულია საქართველოს მეცხოველეობის კვლევით ინსტიტუტად და გადაეცა საქართველოს მიწსახკომის გამგებლობაში.

საქართველოს მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტის მიზანდასახულობას წარმოადგენს წარმოებისათვის და პრაქტიკული საქმიანობის ყოველი დარგისათვის მტკიცე მეცნიერული ბაზის დადგენა და განმტკიცება, მეცნიერული კვლევა-შესწავლა და დამუშავება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისა, როგორიც არის: მეცხოველეობის რიცხობრივი ზრდა, საკვები ბაზის ორგანიზაცია და გაფართოვება, საქონლის კვებისა და მონაგარის გამოზრდის რაციონალიზაცია, მეცხოველეობის პროდუქტთა ხარისხობრივი გაუმჯობესება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა განზოგადება და წარმოებაში შთანერგვა და სხვ.

ინსტიტუტის მუშაობაში წამყვანია სას.-სამ. ცხოველთა მოშენების საკითხები, რომლებიც მიმართულია უმთავრესად ადგილობრივი საქონლის პოტენციისა და გაუმჯობესებული ჯიშების გამოვლინებისაკენ, გეგმური გამაუმჯობესებელი ჯიშების ადგილობრივ პირობებთან შეგუების დონის დადგენისაკენ და მეტიზაციის საფუძველზე ადგილობრივ პირობებთან შეგუებული და დიდი პროდუქტივობის მქონე ახალი ჯიშების ჩამოყალიბებისაკენ.

თავისი თემატიკის მთავარ ნაწილს ინსტიტუტი ამუშავებს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში (დასაყრდენ წერტებში), ხოლო ამავე დროს, ისეთი საკითხების დასამუშავებლად, რომელნიც აუცილებლად ლაბორატორიულ პირობებს მოითხოვენ, ინსტიტუტს თბილისში აქვს საკუთარი საექსპერიმენტო ბაზა—საძროხე, ფარეხი, საჯინიბო, საფრინველე და სხვ.

არსებობის პირველ ხანებში აღნიშნული ინსტიტუტის მუშაობაში მთელი რიგი სერიოზული ნაკლი იყო, სახელდობრ: უგეგმობა მუშაობაში, წარმოებისაგან მოწყვეტა, განყენებულ, დღევანდელ მომენტში ნაკლებად აქტუალურ პრობლემათა დამუშავება, კარჩაკეტილობა და სხვ. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ინსტიტუტის მუშაობაში საქ. კ. პ. (ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტის და პირადად ამხ. ლ. ბერიას ჩარევის წყალობით, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა.

მეცხოველეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა გამომუშავებისა და მეცხოველეობის მეურნეობათა ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ზოოტექნიკური საქმის რაციონალური ორგანიზაციის მეთოდთა შთანერგვის დარგში ინსტიტუტს გარკვეული მიღწევები მოეპოვება. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია შემდეგი:

დამუშავებულია ა-კ მეცხოველეობის ჯიშური დარაიონება, რაც ბოლოს უდებს ჩვენში აქამდე არსებულ ჯიშთა სიჭრელეს და საშუალებას გვაძლევს კონკრეტულად მივუდგეთ ა-კ მესაქონლეობის ჯიშური გაუმჯობესების პრობლემის გადაწყვეტას; ეს ნაშრომი სახელმძღვანელო გახდა მეცხოველეობის დარგში მომუშავე ფართო მასებისათვის.

ამ საკითხში ამიერ-კავკასია და მასთან ერთად ინსტიტუტიც საბჭოთა კავშირში ერთერთ პირველ ადგილზე გამოვიდნენ, რადგანაც მეცხოველეობის ჯიშური დარაიონება ჩვენში ყველაზე ადრე დამუშავდა.

დამუშავებულია ა-კ საკვებ კულტურათა დარაიონება, რაც გამოქვეყნებულია ინსტიტუტის შრომებში და გადაეცა წარმოებას.

შედგენილია ინსტრუქცია სასილოსო კულტურების აგროტექნიკისა და დასილოსების ტექნიკისათვის, რითაც აღმოფხვრილია ა-კ პირობებისათვის ის მცდარი დებულებანი, რომელთაც აქამდე არსებული ინსტრუქციები შეიცავდნენ.

გამოვლინებულია ადგილობრივი საქონლის შესაძლებლობანი, რაც გამოყენებულ იქნა ჯიშური დარაიონებისა და მეტიზაციის გეგმის შედგენისას.

გამოვლინებულ იქნა კამეჩის პოტენციალი, შესაძლებლობა, რის შედეგადაც კამეჩი აღიარებულ იქნა არა მარტო საუკეთესო მუშა-საქონლად, არამედ ამავე დროს საუკეთესო მერძეულ საქონლადაც, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს განსაკუთრებით დაბლობ, პიროპლაზმოზით მოდებულ ადგილებში.

ამ სამუშაოს საფუძველზე კამეჩი ერთერთ პირველ ადგილზე გამოდის, როგორც მერძეული ცხოველი. ამავე საფუძველზე კამეჩს სათანადო ყურადღება მიაქციეს სამიწათმოქმედო ორგანოებმა და ინსტიტუტის უშუალო მონაწილეობით საქართველოში დაარსდა მეკამეჩეობის ფერმები.

ჩატარდა საქართველოს მეთხეობის გამოკვლევა, რის შედეგადაც გამოვლინებულ იქნა მეგრული თხის დიდი წველადობა: წველადობით მეგრული თხა პირველ ადგილზე გამოდის საბჭოთა კავშირში გავრცელებული თხის ყველა ადგილობრივ ჯიშთან შედარებით, რის გამო იგი დღეს საქართველოს ფარგლებს გარეთაც იწყებს გავრცელებას. ამასთან ერთად დამუშავდა და მიწსახკომს გადაეცა მეგრული თხის ბონიტირების ინსტრუქცია და მუშავდება მისი სელექციის სქემა.

გამორკვეულია კვებითი ღირებულება მრავალი ადგილობრივი საკვებისა, როგორიც არის: სხვადასხვა რაიონის თივა, შაბდარი, აბრეშუმის ჭიის ჭუპრი და სხვ.

გამოვლინებულია გარეულ ბალახთა შორის ისეთი ახალი საკვები და სასილოსე კულტურები, რომელნიც სავსებით გამოსადეგნი არიან კულტურაში შესატანად, როგორიც არის: მეგრული ტომოთურა, ადგილობრივი ესპარცეტი, „კოზლიატნიკი" და სხვ. დღეს ამ მცენარეებს სათესლედ ვამრავლებთ ინსტიტუტის დასაყრდენ პუნქტზე და ზოგიერთ კოლმეურნეობაში, რათა შემდეგში სათესლე მასალა წარმოებისათვის გადავცეთ.

ჩატარებულია ადგილობრივი ცხვრის მეტიზაციის მასობრივი ცდები როგორც ინსტიტუტის საკუთარ ფერმაზე, ისე საბჭოთა მეურნეობებში.

ამიერ-კავკასიაში პირველად ინსტიტუტმა შემოიღო წარმოებაში ხელოვნური განაყოფიერება. საბჭოთა მეურნეობაში ხელოვნურად დაგრილებულ იქნა 100 ფური. 1934 წ. „უდაბნოს" საბჭოთა მეურნეობაში ხელოვნურად გაინერბა 800 თუშური ცხვარი ლინკოლნის ჯიშის ყოჩის სპერმით; 1935 წ. „გიაურ-არხის" საბჭოთა მეურნეობაში 5.000 ცხვარი, ხოლო მიმდინარე წელს, მიიღო რა მხედველობაში პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებანი მეცხვარეობის განვითარების დარგში და ხელოვნური განაყოფიერების დიდი გეგმა, რომელიც მოცემული აქვს ამიერ-კავკასიას და კერძოდ საქართველოს, ინსტიტუტმა მიწსახკომისათვის დახმარების გასაწევად ხელოვნური განაყოფიერების მთელი ლაბორატორია გადაიყვანა ამ გეგმის შესრულებაზე: ხელოვნურ განაყოფიერებაზე მუშაობისათვის ინსტიტუტმა ა-კ და საქართველოს მიწსახკომებთან ერთად მოამზადა: 56 ინსტრუქტორ-ტექნიკოსი ა-კ მასშტაბით, 180 კაცი საქართველოსათვის და 50 კაცი აზერბეიჯანისათვის. ამასთან ერთად ინსტიტუტმა დაამუშავა ხელოვნური განაყოფიერების პუნქტთა მშენებლობის გეგმა.

გამოგონებულია ბურღი სილოსის ნიმუშის ასაღებად სხვადასხვა სიღრმიდან სასილოსო შენობის გაუხსნელად და სილაჟის სტრუქტურის დაურღვევლად, რასაც უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კვლევითი მუშაობისათვის, ისე პრაქტიკული მიზნებისთვის.

კვლევითი მუშაობის წარმოებასთან მისაახლოვებლად უკანასკნელ წლებში ინსტიტუტმა დიდად გაზარდა დასაყრდენ წერტთა რიცხვი საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სადაც გადატანილია მთელი კვლევითი მუშაობა, გარდა იმ სამუშაოებისა, რომლებიც აუცილებლად ლაბორატორიულ პირობებს მოითხოვს. დღეს ინსტიტუტი დაკავშირებულია 11 საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობასთან.

თავისი თემატიკის გადამუშავებასთან ერთად, ინსტიტუტი ამ მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევს ზოოტექნიკური საქმიანობის, სანაშენო საქმის, კვებისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებაში. ციხისჯვრის საბჭოთა მეურნეობაში ჩატარდა საქონლის სრული ნუმერაცია, მოწესრიგდა სანაშენო საქმე და ბუღების გამოცდა. ხბორების რაციონალური გაზრდა, სწორი კვება და სხვ. ამასთან ერთად ინსტიტუტმა საკმაო დახმარება გაუწია მთლიანად ბორჯომის რაიონს მეცხოველეობის განსავითარებლად მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებაში.

ასეთივე მუშაობა გასწია ინსტიტუტმა ბაშკირეთის საბჭოთა მეურნეობაში.

ამჟამად, თანახმად ამხ. ლ. ბერიას მითითებისა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მე-5 პლენუმზე, ინსტიტუტი ამუშავებს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის: ძროხის, ცხვრისა და ღორის ახალი, ადგილობრივ პირობებთან შეგუებული და მაღალხარისხოვანი ჯიშების ჩამოყალიბება ფართოდ გაშლილი მეტიზაციის საფუძველზე, მთაგორიანი ადგილებისათვის გამოსადეგი ჯორის ახალი ტიპის მიღება ადგილობრივი ცხენისა და ხამადანის ვირის ჰიბრიდიზაციის საფუძველზე მეტისური თაობის უკეთესი გამოზრდის წესების გამომუშავება, გარეულ მცენარეულობაში დიდმოსავლიანი და ამტანი საკვები ბალახების გამოვლინება კულტურაში შთასანერგავად, საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა დამუშავება და სხვ.

მაგრამ საკითხების მხოლოდ თეორიული დამუშავება, რა აქტუალურიც უნდა იყოს ეს საკითხები, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. საჭიროა ამ ნამუშევართა შედეგები და ინსტიტუტის მიღწევები გადატანილ იქნას წარმოებაში. ამისათვის კი აუცილებელია კვლევითი დაწესებულების მჭიდრო კავშირი წარმოებასთან, მაგრამ არა იმ გაგებით, თითქოს ეს საქმე მარტო ინსტიტუტმა უნდა იკისროს და ძალით მოახვიოს თავზე წარმოებას. ინიციატივა ამ საქმეში, პირიქით, სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ, ისინი უნდა შეეცადონ ინსტიტუტის (და საერთოდ მეცნიერებისა და ტექნიკის) ყველა მიღწევა გამოქვეყნებისთანავე გადაიტანონ წარმოებაში.

ამ მიზნით მიმდინარე წელს ინსტიტუტმა დაარსა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რეალიზაციის სექტორი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქოხ-ლაბორატორიებს, ეხმარება მათ თემატიკის შედგენაში, ხელმძღვანელობს მათს მუშაობას, აწვდის ახალი მიღწევების წარმოებაში შთანერგვის მეთოდიკას, ეხმარება მუშაობაში ცალკეულ სტახანოველებს და სხვ.

მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობაში მარტო ინსტიტუტი ვერას გახდება, თუ მას სამიწათმოქმედო ორგანოები და სამეურნეო ორგანიზაციები არ დაეხმარნენ. ასეთი შეთანხმებული მუშაობა დიდად გაუადვილებს ინსტიტუტს თავისი მიღწევების წარმოებაში გადატანას, ასწევს საცდელი საქმის ხარისხს და, რაც მთავარია, აამაღლებს წარმოებაში მომუშავე სპეციალისტთა კვალიფიკაციას, ხელს შეუწყობს განხორციელებას ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებისა ისეთი კადრების შექმნის შესახებ, რომელთაც სრულიად ათვისებული აქვთ ტექნიკა და რომელთაც შეუძლიანთ წინ წასწიონ ტექნიკა.

ასეთი დახმარება სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ განსაკუთრებით საჭირო ხდება, რადგანაც ინსტიტუტს არ მოეპოვება საკუთარი საწარმოო ბაზა, სადაც მას შეეძლოს ფართო საწარმოო ხასიათის ცდების დაყენება. იმ დახმარებისა და ყურადღების მეოხებით, რომელსაც უწევენ ინსტიტუტის სადირექტივო ორგანოები და პირადად ამხ. ლ. ბერია, იგი შესძლებს პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი. ეს მოვალეობანი კი იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, როგორც ამხ. ლ. ბერია გვასწავლის „მოითხოვენ, ოდნავადაც არ დავმშვიდდეთ მიღწეული წარმატებებით, არამედ კიდევ უფრო მეტი ენერგიით, ბოლშევიკური შეუპოვრობით და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ვაწარმოოთ შემდგომი მუშაობა" მეცხოველეობის განვითარებისათვის.

◆

საქ. მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტის ბიო-ქიმიური ლაბორატორია.

ერევნის პედაგოგები თბილისში

5 იანვარს თბილისში ჩამოვიდა ერევნის სტალინის რაიონის პედაგოგთა დელეგაცია 25 კაცის შემადგენლობით.

დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ზოგიერთი სკოლის მუშაობას, რის შემდეგ 8 იანვარს თბილისის განათლების განყოფილების გამგის ამხ. პარმენ აფხაძის კაბინეტში გაიმართა ერევნელ და თბილისელ პედაგოგთა მეგობრული შეხვედრა.

სტუმრებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ამხ. აფხაძემ. მან აღნიშნა ის ძმური ურთიერთობა, რომელიც ამიერ-კავკასიის ერთა შორის არსებობს ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ერევნის სტალინის რაიონის განათლების განყოფილების წარმომადგენელი ამხ. ს. დანიელიანი. მან ილაპარაკა იმ გულთბილ შეხვედრაზე, რომელიც თბილისელმა პედაგოგებმა მოუწყეს მათ.

თბილისისა და ერევნის სკოლების გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს ასატურ არუთინიანმა (სინთეტიკური კაუჩუკის მშენებელთა სკოლა), ვ. ბარსეგიანმა (ერევნის პირველი სკოლის დირექტორი), ონ. აკოფიანმა (ერევნის მესამე სკოლის დირექტორი), მელიქსეტიანმა (თბილისის მე-72 სკოლა), ი. მნაცაკანიანმა (ერევნის ახალი ბუთანის სკოლა), ჯ. ჯორჯიკიამ (თბილისის მე-23 სკოლა), აბგაროვამ (თბილისის სტალინის რაიონის მე-81 სკოლა), ნიკიტენკომ, თოროზიანმა და სხვ.

დასასრულ, ამხ. აფხაძემ საქართველოს განათლების კომისარიატისა და თბილისის განათლების განყოფილების სახელით მადლობა გადაუხადა სტუმრებს ერევნის სკოლების დადებითი გამოცდილების გაზიარებისათვის და აღნიშნა სომხეთის კ.პ. (ბ) ერევნის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მოსაწონი თაოსნობა მოძმე რესპუბლიკის დედა-ქალაქში პედაგოგთა დელეგაციის გაგზავნისა.

შ. ჯ.

◇

კასპიის ზღვაში მეთევზეთა 398 გემი გაჭირვებაშია

პიატიგორსკი, 7 იანვარი. (საქდესი). დამატებითი ცნობებით გამორკვეულია, რომ კასპიის ზღვის ჩრდილო ნაწილში გაჭირვებაშია მეთევზეთა 398 გემი. მფრინავთა სიტყვით, რომლებმაც გამოიკვლიეს ეს რაიონი, შედარებით უშიშარ მდგომარეობაშია 309 გემი, კრიტიკულ მდგომარეობაშია 15 გემი, მათგან 5 უკვე გამოგდებულია ნაპირზე. 74 გემი ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინეს. ყინულებში გაჩხერილი გემების ძებნას აწარმოებს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის აზოვ-შავიზღვის სამმართველოს ავიარაზმი.

მეთევზეთა დასახმარებლად წასულ გემთა მაშველ ჯგუფს შეუერთდნენ ახალი გემები „პამიატ კომუნი", „ასტრახანეც", „პამიატ კიროვა" და სხვ. მახაჩ-ყალიდან გემების საშველად გავიდა კიდევ 15 ბარკასი და 3 პლაშკოუტი.

ყინულებში გაჩხერილი გემების მდგომარეობა უმჯობესდება. ქარავნები გზას იკვლევენ ნაპირისაკენ. გემები და თვითმფრინავები საავარიო მდგომარეობაში მყოფ გემებს აწვდიან საკვებ პროდუქტებს და სათბობს. მეთევზეებს მიაწოდეს 13 ათასზე მეტი კილოგრამი პური, 1.500 ქილა კონსერვი, 300 კილოგრამი შაქარი და ბევრი სხვა პროდუქტი, აგრეთვე თბილი საცვლები.

მაშველმა გემებმა მცურავ ყინულებიდან გადმოიყვანეს 6 მეთევზე.

შოთა რუსთაველის იუბილესათვის

შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის საგამომცემლო კომისია მიმდინარე წლის ზაფხულისათვის გამოუშვებს „ვეფხის ტყაოსნის" ინგლისური თარგმანის (უორდროპის) ახალ გამოცემას, რომელიც თითქმის არსად იშოვება, პოემის ფრანგულ თარგმანს, აგრეთვე აკადემიკოს ნ. ი. მარის თხზულებას შოთა რუსთაველზე 1 ტომად.

ამას გარდა, იუბილესათვის კომიტეტი გამოუშვებს ქართულ ენაზე სამს მონოგრაფიას — პროფ. ი. ა. ჯავახიშვილის—„რუსთაველის ეპოქა", პ. ინგოროყვას — „რუსთაველის ლიტერატურული წინამორბედნი" და პროფ. შ. ნუცუბიძის — „ქართული კულტურა და რუსთაველი" (საქდესი).

◇

ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილი უკრაინული ჟურნალი

მიღებულია ლიტერატურულ - სამხატვრო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო - პოპულარული უკრაინული ჟურნალის „მოლოდნიაკის" — უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის სსრ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანოს მე-10 ნომერი.

ჟურნალის ეს ნომერი საქართველოსათვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან იგი მთლიანად მიძღვნილია ქართული ლიტერატურისადმი.

პოეზიის განყოფილებაში მოთავსებულია ლექსები: საქართველოს სახალხო პოეტის ორდენოსან გალაკტიონ ტაბიძის — წიგნიდან „რევოლუციური საქართველო" (პ. ტიჩინის თარგმანი), პოეტ გ. ლეონიძისა „სტალინი" (მ. ბაჟანის თარგმანი), ტიციან ტაბიძისა — „ბელადის მოწოდება" (ო. პორხომოვსკაიას თარგმანი), ვ. გაფრინდაშვილისა — „ჩემი ქვეყანა" (მ. ბაჟანის თარგმანი) და სხვ.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსთაგან ნომერში მოცემულია: შესავალი და პირველი სამი ამბავი „ვეფხის ტყაოსნისა" (მიკოლა ბაჟანის თარგმანი), „სტუმარ-მასპინძელი" — ვაჟა-ფშაველასი (პ. ტიჩინას თარგმანი), ილია ჭავჭავაძის „გაზაფხული" და სხვ.

ჟურნალში მოთავსებულია სტატიები კ. ჰიჟინაძისა — „შოთა რუსთაველი", შ. დადიანისა — „ქართული დრამატურგია", ნ. მიწიშვილისა — „სტალინური ეპოქის მონუმენტები" (ახალი კოლხიდა ქართულ პოეზიაში), სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ვასაძისა — „რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედება", ა. დუდუჩავასი — „საბჭოთა საქართველოს მხატვართა სურათები" და სხვ.

ჟურნალში მოთავსებულია ილუსტრაციები — მთელი რიგი ნახატები გამოფენიდან თემაზე: „საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის" და სომეხ მხატვარ დ. ყარაფეტიანის მიერ ხალიჩაზე გაკეთებული ამხ. ლ. ბერიას პორტრეტი.

ჟურნალი იძლევა უკრაინის მოძმე ხალხში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის საუცხოო ნიმუშს (საქდესი).

◇

საპლანერო სადგური

ბოგდანოვკაში იხსნება საპლანერო სადგური. ამ დღეებში რაიონი მიიღებს საკმაო რაოდენობის პლანერებს, რის შემდეგ დაიწყება პრაქტიკული მეცადინეობა. საპლანერო წრეს ხელმძღვანელობას გაუწევენ თბილისიდან მოწვეული პლანერისტ-ინსტრუქტორები.

საპლანერო სადგურის მოწყობამ ბოგდანოვკის ახალგაზრდებს შორის დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია.

თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში 7 იანვარს დაიწყო ქ. თბილისის სკოლების მოწაფეთა სატანვარჯიშო შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ ქალაქის ხუთივე რაიონის მოწაფეები, დაყოფილნი უფროსი და უმცროსი ასაკის ჯგუფებად. **სურათზე:** მარცხნივ—სტალინის რაიონის უფროსი ასაკის ქალიშვილთა გუნდი. მარჯვნივ—კიროვის რაიონის უფროსი ასაკის ვაჟთა გუნდი.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

შენდება სამი სოციალისტური საკოლმეურნეო სოფელი

ჩვენს ორდენოსან რესპუბლიკაში მრავლდება მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. დღითიდღე უმჯობესდება კოლმეურნეობათა საყოფაცხოვრებო პირობები, იზრდება კოლმეურნეთა მოთხოვნილებები. ძველი ტიპის სოფლებში შეუძლებელი ხდება შეძლებულად მცხოვრებ კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება. ამას ხელს უშლის კომლთა განლაგება, სოფლების ტოპოგრაფიული პირობები, გზების უვარგისობა და სხვ.

ამიტომ ზოგ კოლმეურნეობაში გადასწყვიტეს დაესახლონ ახალ ადგილზე, გაიყვანონ კარგი გზები, გაიჩინონ კლუბი, სამკითხველო, საექიმო პუნქტი, კოოპერატიული დუქანი და ყველა ის დაწესებულება, რაც საჭიროა სოფლისათვის.

საქართველოს მიწსახკომთან არსებობს სპეციალურად შექმნილი საპროექტო ორგანიზაცია „საქ. სოფპროექტი", რომელსაც მინდობილი აქვს სოციალისტური სოფლების დაგეგმვა. ახალი სოციალისტური საკოლმეურნეო სოფლების ასაშენებლად საჭირო გენერალური გეგმების დამუშავების შესახებ „საქსოფპროექტთან" ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებენ ორსანტიის (ზუგდიდის რაიონი), ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის (თბილისის რაიონი) და ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის (ასურეთი) მილიონერი კოლმეურნეობები. მოლაპარაკების მიზანია ახალი სამოსახლო ტერიტორიის შერჩევა, დასასახლებელ კომლთა რიცხვისა და სხვა ტექნიკური ხასიათის წინაპირობათა გამორკვევა, რომ შესაძლებელი იყოს დაპროექტების დაწყება.

„საქსოფპროექტში" მიღებული ცნობებით, სამივე საკოლმეურნეო სოფლის გენერალური გეგმების დამუშავება დამთავრდება ერთ წელიწადში. თვითეული ახალი საკოლმეურნეო სოფელი დაყოფილი იქნება სხვადასხვა უბნად — საცხოვრებელი უბანი, საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა უბანი (აბანო, პურის საცხობი, სამრეცხაო და სხვ.), ადმინისტრაციული დაწესებულებები, კულტურული დაწესებულებები; გამოცალკევებით გაშენდება საწარმოო უბანი (საწყობები, სასილოსო კოშკები, სას.-სამეურნეო იარაღთა სარემონტო სახელოსნო და ა. შ.).

თვითეული კომლისათვის დაპროექტებული იქნება სამ-ოთხ ოთახიანი ბინები საკარმიდამო ნაკვეთით.

ახალი სოფლების დაპროექტების პრაქტიკა „საქსოფპროექტს" უკვე აქვს. მან დაამუშავა ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ორი სოფლის—ბუსუკალოს და ზრესის ახალ ტერიტორიებზე დასახლების გენერალური გეგმები. ეს გეგმები მოწონებულია სათანადო ორგანოებში და ამჟამად ორივე ამ სოფლის მშენებლობა გაშლილი ტემპით მიმდინარეობს.

დ. ლ.

◇

ხალხის წარსული ქართულ დრამატურგიაში

7 იანვარს მწერალთა სასახლეში შესდგა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მდივნის ამხ. ბესარიონ ჟღენტის საჯარო მოხსენება „ხალხის წარსული ქართულ დრამატურგიაში". მოხსენება მოაწყო დრამატურგთა სექციამ. სხდომას დაესწრნენ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და თეატრების წარმომადგენლები, მწერლები, კრიტიკოსები და დრამატურგები.

სხდომა გახსნა მწერალთა კავშირის დრამსექციის თავმჯდომარემ, ორდენოსანმა პოეტმა-დრამატურგმა ა. მაშაშვილმა.

მომხსენებელმა უპირველეს ყოვლისა ხაზი გაუსვა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებას—სინამდვილის სწორი და მართალი ასახვის შესახებ. ნ. ბუხარინის ცდა არასწორად, დამახინჯებულად წარმოედგინა რუსეთის დიდი ხალხის წარსული, დაჰგმო პარტიამ. სინამდვილის, ისტორიული სიმართლის დამახინჯების მაგალითს წარმოადგენს დემიან ბედნის პიესა „დევ-გმირები", რომელიც მოხსნილია სცენიდან.

ამხ. ბ. ჟღენტი ვრცლად ჩერდება მე-19 საუკუნის კლასიკოსების მიერ ისტორიულ თემებზე დაწერილ ნაწარმოებთა განხილვაზე; ისინი ისტორიულ მასალას ამუშავებდნენ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების თვალსაზრისით, ამ მოძრაობის გაღვივებისათვის. ეს გარემოება იწვევდა ისტორიული სინამდვილის დამახინჯებას, მის ერთგვარ იდეალიზაციას. როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, ქართულ საისტორიო მწერლობაში არა სჩანს ხალხი, იგი მეფეთა და დიდკაცთა ისტორიაა. ილიას სიტყვები შეიძლება გავიმეოროთ თვით მე-19 საუკუნის ისტორიულ-მხატვრულ მასალებზე.

თანამედროვე საბჭოთა მწერლები: მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, პ. ჩხიკვაძე, პ. საყვარელიძე და სხვანი წარმატებით მუშაობენ ისტორიულ თემებზე. ქართველი დრამატურგების მიერაც ამ მიმართულებით დამუშავებულია რამდენიმე თემა. ისტორიული წარსულის დამახინჯების ცალკეული შემთხვევები ჩვენ გვაქვს ლიტერატურის თითქმის ყველა დარგში. პოეზიაში იყო ცდა გაელექსათ ქართველი მეფეების ცხოვრება („ქართლის ცხოვრება" ს. თ-ისა), შედეგად მივიღეთ საქართველოს ისტორიის ვულგარიზაცია. კინო სურათ „არგონავტებში" სწორად არ არის მოცემული არგონავტების ბრძოლა კოლხიდაში. დამახინჯებებია ქართულ დრამატურგიაშიც.

— ნიჭიერი დრამატურგი შ. კაკაბაძე 7 წელიწადს მუშაობდა პიესა „ბახტრიონზე". მიუხედავად იმისა, რომ პიესა დაწერილია მახვილი ენით, იგი ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა. პიესაში გამოყვანილი არიან ხალხური ტიპები: ნაცარქექია, ქოსატყუილა, დოყლაპია, მუსუსელა როსტომ ბრძენი და სხვ. ამასთანავე პიესაში ეს გმირები განაგებენ ქართველი ხალხის სვე-ბედს. დრამატურგმა დაამახინჯა და გააშარჟა საქართველოს ისტორია. მეორე მისი პიესა „ყვარყვარე თუთაბერი" ძირითადში მისაღები ნაწარმოებია, მაგრამ აქაც გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამობა, არა სჩანს მწერლის მახვილი სოციალური ალღო.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ი. ვაკელის პიესის „შამილის" განხილვაზე.

— ეს ნაწარმოები მიიღო მაყურებელმა. პიესა უსათუოდ საინტერესოა, მაგრამ ი. ვაკელმა დაუშვა ერთი შეცდომა, მან სწორად ვერ წარმოგვიდგინა შამილის დამარცხების მიზეზები. გაიტაცა რა კლასიკური დრამატურგიის ტრადიციამ, მან მთელი ამბავი ააგო დანიელ-ბეგის ინტრიგებზე შამილის წინააღმდეგ და მეორე პლანზე დააყენა მთის ხალხის დამარცხების ნამდვილი მიზეზის ჩვენება.

კ. კალაძის პიესა „როგორ" 1905 წლის რევოლუციას შეეხება, მაგრამ ის უფრო რომანტიული გადახედვაა წარსულისა. სხვა პრეტენზია პიესას არა ჰქონია. ამავე თემას შეეხება გ. ბააზოვის „იცკა რიჟინაშვილი", რომელიც ახლა იდგმება კ. მარჯანიშვილის თეატრში. ამავე თეატრში იდგმება ი. მჭედლიშვილის „იოანა ბუიანა", რომელიც მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს ყოფაცხოვრებას შეეხება. ეს პიესები შეფასებულ იქნებიან დადგმის შემდეგ.

შ. მ.

პარიზის გამოფენაზე

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის აბრეშუმის მრეწველობის სამმართველომ მიიღო ცნობა აბრეშუმის მრეწველობის მიერ წარდგენილი აბრეშუმის ქსოვილის იმ ექსპონატების დათვალიერების წინასწარ შედეგების შესახებ, რომლებიც პარიზის გამოფენაზე უნდა გაიგზავნოს. მოსკოვში გაგზავნილია ქსოვილის 34 ნიმუში. ჟიურიმ აღნიშნა, რომ ყველა წარმოდგენილი ნიმუში გამოირჩევა კარგი გაფორმებით. საინტერესო ფერადებით და კარგი შესრულებით. შესრულების მხრივ საუკეთესოდ ცნობილია 3 ნიმუში—სადა კრეპ-მოროკენი, კრეპ-როტორი და კრეპ-დე-შინი აღმოსავლური და ქართული ხასიათის დაჩითვით. ამ ქსოვილის ნიმუშები გაიგზავნება გამოფენაზე.

საბოლოო შერჩევა მოხდება 10—12 იანვარს. ახალი ნიმუშები უახლოეს დროში გაიგზავნება. ექსპონატებს გარდა, გამოფენისათვის გაგზავნილია მხატვრულად გაფორმებული ალბომები ფოტოსურათებით, რომლებიც ახასიათებენ აბრეშუმის მრეწველობის მდგომარეობას რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ, კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობებს ფაბრიკებში და სხვ. (საქდესი).



ტრამვაის სახელოსნოების სტახანოველი-ხარატი ამხ. შ. ნ. ჩხაიძე საწარმოო გეგმას 280—300 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** ამხ. ჩხაიძე მოტორის ნაწილებს აკეთებს

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მკითხველთა მომსახურების გასაუმჯობესებლად

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თავის მრავალრიცხოვან მკითხველთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად აწყობს მეცნიერული ხასიათის უფასო ლექციებს ქართველ და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედების შესახებ.

გასული წლის მეორე ნახევარში მოეწყო სულ თერთმეტი ლექცია: „ალ. პუშკინი", „ბესარიონ ბელინსკი", „შოთა რუსთაველი და იოანე პეტრიწონელი", „მაქსიმ გორკი", „ილია ჭავჭავაძე", „რომენ როლანი", „მიხეილ ლერმონტოვი", „ცხოვრების ფილოსოფია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში", „სტალინური კონსტიტუცია", „ალ. ყაზბეგი" და უკანასკნელად „ლევ ტოლსტოი" და „ულიამ შექსპირი". ყველა ამ მოხსენებას დაესწრო დაახლოვებით 5.000 მსმენელი.

მიმდინარე წლის მასობრივი მუშაობის 8 თვის პროგრამაში ბიბლიოთეკის დირექციამ შეიტანა 24 ლექცია მე-19 საუკუნის ქართული და უცხოეთის ლიტერატურის კლასიკოსებისა და რამდენიმე ლექცია თანამედროვე ლიტერატურის შესახებ. პირველი ლექცია გაიმართა 6 იანვარს თემაზე: „ნიკოლოზ ოსტროვსკის ცხოვრება და შემოქმედება". ყველა ლექცია მოეწყობა ბიბლიოთეკის დარბაზში დასვენების დღეებში.

შ.

ტრაგედია მყინვარწვერის კალთაზე

ისაკი ნასარაიას დაღუპვის კვალს მიაგნეს

გუშინ ყაზბეგიდან თბილისში მიიღეს ცნობა, რომ 7 იანვარს გერგეტის მყინვარზე მონადირე-ალპინისტების ექსპედიციამ, რომელიც გაგზავნილი იყო სოფ. ყაზბეგიდან მაღალმთიანი მეტეო-სადგურისაკენ გერგეტის მყინვარის დაწვრილებით გამოსაკვლევად, მიაგნო ისაკი ნასარაიას დაღუპვის კვალს. ცნობის მიღებისთანავე თბილისიდან გამოიძახეს სოფ. ყაზბეგი, სადაც ტელეფონთან გამოცხადდა ამხ. ჩოფიკაშვილი.

ამხ. ჩოფიკაშვილის გადმოცემით, მაღალმთიანი მეტეოსადგურიდან დაბრუნდა ექსპედიციის ერთერთი წევრი, რომელმაც დაადასტურა, რომ ნასარაიას დაღუპვის კვალს მართლაც მიაგნეს. გამორკვეული და დადასტურებულია, რომ ნასარაია დაიღუპა გერგეტის მყინვარზე. კვალს მივყევართ ნაპრალისაკენ, რომელიც ძნელად მისადგომია თოვლის ზვავების გამო.

კვალის ადგილი მონადირეებმა აღნიშნეს სპეციალურად გაკეთებული ნიშნებით. 8 იანვარს ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოსადგურიდან ჩამოვა ამას წინათ იქ ასული ამხ. დ. შარაშიძე, რომელსაც თბილისში მოელიან 10 იანვარს.

ამინდის დაწყნარებისთანავე მიღებული იქნება ყველა ზომა დაღუპული ნასარაიას გვამის საპოვნელად.

◇

მე-2 საუკუნის არქეოლოგიური ნაშთები

ამასწინათ სოფ. მარნეულთან, სადგ. სანდარის ახლოს, მიწის მთხრელმა მუშებმა აღმოაჩინეს შორეული ეპოქის ნივთები. ნაშთებს შორის მოიპოვება: ადამიანის ორი პატარა ბრინჯაოს ფიგურა ფრინველის თავებიანი (კერპები), ბრინჯაოს სამაჯური, ობსიდიანის ნატეხები და თიხის პატარა სურების ნამსხვრევები.

ნაპოვნი ნივთები საქართველოს მუზეუმში, ჩამოიტანა ინჟ. ლებედევმა.

მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამგის პროფ. გ. ნიორაძის აზრით, ეს ნაშთები ჩვენი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნეს მიეკუთვნებიან.

ნაშთების პოვნის ადგილას არქეოლოგიური გათხრების დაწყებას აპირებენ. (საქდესი).

◇

მოსახლეობის აღწერა აჭარაში

ბათუმი, 8 იანვარი. (საქდესი). 6 იანვარს ქალაქისა და სოფლის 628 მთვლელი, რომელთაც ხელახალი ინსტრუქტაჟი მიეცათ წინა დღით, გამოვიდნენ მოსახლეობის აღსაწერად.

მაღალმთიან ძნელმისასვლელ სოფლებში გაგზავნილი ყველა მთვლელი იქ დარჩა 1-დან 6 იანვრამდე ჩათვლით და სოფლსაბჭოებთან კავშირი ჰქონდათ გაბმული დამხმარე ბრიგადების საშუალებით.

ამ დღეს მთელი მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობდა და 7 იანვარს საღამოს 10 საათისათვის მოსახლეობის აღწერის აჭარის ბიურომ ვადაზე ადრე შეაჯამა წინასწარი შედეგები მთელ რესპუბლიკაში და დეპეშით აცნობა ცენტრს, ნაცვლად მთავრობის დაწესებულ ვადის 9 იანვრისა.

◇

რედაქციისაგან

ამხ. ლ. ბერიას მიმართვები მასწავლებლებისა, პიონერებისა და მოსწავლეებისადმი, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის 6 იანვრის ნომერში, გამოქვეყნებულია გაზეთ „ზა კომუნისტიჩესკოე პროსვეშჩენიეს" 1 იანვრის ნომერში მასწავლებლებისადმი, 4 იანვრისაში — პიონერებისა და მოსწავლეებისადმი.

სასამართლო

დახვრიტეს ავაზაკები

(ბათუმი, „კომუნისტის" საკ. კორ.)

1935 წლის სექტემბერში ქობულეთის რაიონის კოლმეურნე—სულეიმან ხარაზმა თავის საკარმიდამო ნაკვეთზე 3—4 დღით აიყვანა სამუშაოდ და დამხმარედ ორი მოქალაქე.

უკანასკნელ ღამეს ბოროტგამზრახველებმა გადასწყვიტეს სულეიმან ხარაზის ოჯახის გაძარცვა.

ნავახშმევს დაღლილ სულეიმანს და მის ცოლს მაგრად დაეძინათ.

ბოროტმოქმედებმა მძინარე სულეიმანს თავში ქვა დაარტყეს, ხოლო შემდეგ ნაჯახით მოჰკლეს. ნაჯახითვე მოჰკლეს სულეიმანის მეუღლეც და მძიმედ დასჭრეს მცირეწლოვანი ბავშვი.

მილიციამ ავაზაკები აღმოაჩინა და ეს საქმე სახალხო სასამართლომ ქობულეთში საჩვენებელი პროცესით გაარჩია. ავაზაკებს—ნიკოლოზ პრონინს (იმავე ვოროვკოვს, იმავე ივანოვს) და პ. ტერნოვსკის მიესაჯათ სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

შ. ფურცხვანიძე

◇

ჭადრაკი

ებრალიძე—ლისიცინის მატჩი

მეცამეტე პარტია

მატჩის მეცამეტე პარტია დასაწყისში ისე ვითარდებოდა, რომ მოსალოდნელი იყო მწვავე ბრძოლა. ლისიცინმა, რომელიც შავებით თამაშობდა, ისევ ლენინგრადის დაცვა გაითამაშა იმ განსხვავებით, რომ ადრევე დაიწყო თავისი მეფის პაიკების მიწევა იერიშის განვითარების შესაძლებლობის მისაღებად. მაგრამ ებრალიძე მართებულად თამაშობდა და დებიუტით მან კიდეც მიიღო რამდენადმე უფრო თავისუფალი მდგომარეობა. ლისიცინმა შეიტყუა ებრალიძის ლაზიერი თავის ბანაკში, სადაც შესთავაზა ორი პაიკის მოგების შესაძლებლობა. ებრალიძე არ წავიდა ამ გაგრძელებაზე, რადგანაც თუ ორ პაიკს მოიგებდა, ჩქარა დამათდებოდა, ხოლო თუ ერთ პაიკს დასჯერდებოდა, ლისიცინი მიიღებდა ხანგრძლივ ინიციატივას. დაიცვალა თითქმის ყველა ფიგურა და მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დღეს, 9 იანვარს, მატჩის მონაწილენი ისვენებენ.

ბ. ფ.

○

მოწაფეები პირველი კატეგორიის მოჭადრაკეთა წინააღმდეგ

არდადეგებთან დაკავშირებით, საქ. საჭადრაკო სექცია ატარებს საინტერესო კონკურს-სეანს, მოწაფეებს რიგრიგობით ეთამაშებიან პირველი კატეგორიის მოჭადრაკენი: სოროკინი, აბრამიანი, როვნერი (ლენინგრადი), ფალავანდიშვილი და ფირცხალავა.

6 იანვარს მოწაფეებთან თამაშობდა სოროკინი. 5 საათის თამაშის შემდეგ სოროკინმა წააგო სამი პარტია, ორი მოიგო და ერთი ყაიმით დასრულდა. მოიგეს გამრეკელმა, ლებედევმა და ლაპიდუსმა; ყაიმი გააკეთა კაკაბაძემ. წააგეს გერშკოვიჩმა და პუზნიკმა.

7 იანვარს სეანსი ჩაატარა აბრამიანმა. ამ დღეს ბავშვები დამარცხდნენ. მხოლოდ გამრეკელი გადურჩა წაგებას. ეს პარტია ყაიმით დასრულდა.

დღეს, 9 იანვარს, სეანს ატარებს ფალავანდიშვილი.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

9 იანვარს პროპაგანდისტთა სკოლის (ყველა ჯგუფი) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია თემაზე: „მემარჯვენე გარეწარნი — კაპიტალიზმის რესტავრატორები", საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალიზმი და თანასწორობა", საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ", საღამოს 7 საათზე.

○

— **ორჯონიკიძის პარტრაიკომის** კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება აუწყებს ყველა პროპაგანდისტს და პროპსემინარების ხელმძღვანელთ, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აბრეშუმის ფაბრიკის პარტორგანიზაციის საუკეთესო პოლიტწრის საჩვენებელი მეცადინეობა ქართულ ენაზე (პროპაგანდისტი ამხ. ადამიძე). წრის მეცადინეობის შემდეგ გაიმართება პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელის ამხ. ბარამიძის მოხსენება — „წრეებში მეცადინეობის მეთოდების შესახებ".

— **26 კომუნარის სახელობის პარტრაიკომი** იუწყება, რომ 10 იანვარს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომების დარბაზში მოწვეულია **26 კომუნარის სახელობის რაიკომის მე-10 პლენუმი**. დღის წესრიგშია: პარტკომების მდივნების ამხ. ჩერნიკოვის (ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა), კვერნაძის (ორჯონიკიძის სახ. ქარხანა), არუთინოვის (პურის საცხობი ქარხანა № 2) მოხსენებები და რაიკომის მდივნის ამხ. აივაზოვის თანამოხსენება „საქ. კ.პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ" საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ექიმი დავ. ღვინეფაძე

„წიგნი საექიმოი"

სახელგამი. 1936 წ.

მედიცინა საკმაოდ განვითარებული იყო ძველ საქართველოში. ქართველებს მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონიათ ეგვიპტის, საბერძნეთის, არაბეთისა და რომის საექიმო აზროვნებასთან.

ძველი ქართული მედიცინა შორს იყო იმ „კარაბადინებიდან", რომლებიც ცრუმორწმუნეობით იყო სავსე.

ქართველებს ძველად კარგად ჰქონდათ შეგნებული ექიმთა როლი, მათი სპეციალობის მიხედვით დაყოფა. ამას მოწმობს უკვდავ „ვეფხის ტყაოსანში" მოყვანილი ცნობებიც:

„რა ექიმი დასნეულდეს
რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა იხმოს მკურნალიც და
მაჯისაცა შემტყობარი".

○

„გახსოვს ოდეს ჰაის ზმიდი,
ცრემლი შენნი ველთა ჰბანდეს,
მკურნალი და დოსტაქარნი
წამალსა-ყე მოგიტანდეს"?!
„ერთი მონა **დოსტაქარი**
მყვა და წყლულნი შეუხვივნა.
ისრის პირნი ამოუხვნა
დაკოდილნი არ ატკინა".

მრავალი საბუთი, მოგზაური და სხვ. მოწამეა, რომ ძველად ქართული მედიცინა, — რასაკვირველია იმ დროისდა მიხედვით, — მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე იდგა. მაშინდელ მედიცინაში ცნობილი წესები დღესაც ურყევია. სამწუხაროდ ამისი დამამტკიცებელი ძეგლები დავიწყებას მიეცნენ. ეს ძეგლები ხელუხლებელი ინახებოდა — და ინახება ამჟამადაც — და ჩვენი მეცნიერები მათ თითქმის არ იცნობენ. დღემდე ამ საკითხებზე არავინ მუშაობდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ საექიმო — ფილოსოფიურ ხელნაწერს, რომელიც რევოლუციამდე იქნა გამოცემული ჩვენი ცნობილი ისტორიკოსების მიერ.

პირველი საექიმო-ფილოსოფიური ხელნაწერია შატბერდის სამეცნიერო ქრესტომათიიდან ამოღებული „სამკურნალო ტრაქტატი", შედგენილი იოვანე ბერაის მიერ IX-X საუკუნეში, „კაცისა შესაქმე", რომელიც გამოცემულია მოსე ჯანაშვილის მიერ 1891 წელს.

მეორე ხელნაწერია ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა", რომელიც თარგმნილია ბერძნულიდან XII საუკ. იოანე პეტრიწის მიერ და გამოცემულია ს. გორგაძის მიერ 1914 წ.

აღნიშნულ გამოცემებს ხელმძღვანელობდნენ არა ექიმები, არამედ ცნობილი ისტორიკოსები, რომლებსაც აინტერესებდათ ძეგლების ისტორიული მხარე, ხელნაწერის ენის ფონეტიკა და სხვ. ამიტომ ბუნებრივია, ისინი ამ ძეგლებს ვერ შეაფასებდნენ საექიმო თვალსაზრისით.

ამგვარად, ძველი ქართული მედიცინის გზები თითქმის სავსებით გაუშუქებელი რჩებოდა.

უკანასკნელ წლებში ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი ექიმმა **ლადო კოტეტიშვილმა** და რაც ამ მოკლე ხნის ვადაში მან გააკეთა, ძვირფას საჩუქრად უნდა ჩაითვალოს ქართული სამკურნალო მეცნიერებისათვის.

მან მშვენიერი დასაბუთებული წინასიტყვაობით დაამუშავა „წიგნი საექიმოი", რომელიც ნათარგმნია XIII საუკუნეში **ხოჯა ყოფილის** მიერ.

ექ. ლ. კოტეტიშვილი არკვევს ძველი ქართული მედიცინის განვითარების გზებს და ამტკიცებს, რომ „ეს ორი წიგნი (ლაპარაკია „ვეფხის ტყაოსანზე" და „წიგნი საექიმოზე" დ. ღ.) ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ეპოქაში დაწერილიო". შემდეგ ავტორი ეხება „წიგნი საექიმოიში" გატარებულ ფილოსოფიურ კონცეპციას, ემბრიოლოგიურ-ბიოლოგიურ შეხედულებებს, ადამიანის ანატომიას, ფიზიოლოგიას, ჰიგიენას, დიეთიკას, დიაგნოსტიურ ცნობებს, ზოგად და კერძო პათოლოგიას და სამკურნალო საშუალებებს.

ზოგი ამ ცნებათაგანი, რომლებიც ჩვენი წინაპრებისათვის XII-XIII საუკუნეებში და უფრო ადრეც იყო ცნობილი, ევროპელთათვის მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებში გახდა გარკვეული. ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი მიღწევები მედიცინაში — ლიზატოთერაპია გრავიდანოთერაპია და სხვ. ასეთი მკურნალობა უკვე სცოდნიათ ჩვენს წინაპრებს 7-8 საუკუნის წინათ.

ქირურგიაც კარგად ჰქონიათ შესწავლილი, რაც „წიგნი საექიმოის" წინასიტყვიდან ნათლად სჩანს. მაგალითად, დღეს ქირურგიაში გავრცელებული ბუასილის ოპერაცია ლიგატურის (გადაკვანძვის) წესით ჩვენში ძველადვე ყოფილა ცნობილი: — „... და თუ თმითა და აბრეშუმითა წმინდათ შეკრას (ბუასილის კვანძი), კარგ არს, თვით დავარდების".

ასეთი ოპერაცია მხოლოდ 1927 წ. იქნა მიჩნეული, როგორც ერთერთი მიზანშეწონილი ოპერაცია.

როგორც „წიგნი საექიმოიდან" სჩანს, კარგად სცოდნიათ ძველ საქართველოში ტრახეატომიაც (ხორხის გაკვეთა, თუ რაიმე დაბრკოლებაა დიფტერიტის ან ხორხის სიმსივნის დროს, ამ შემთხვევაში ადამიანი დაიხრჩობა, თუ მას სასწრაფოდ არ გაეჭრა ხორხი და არ გაუკეთდა ჰაერის შემსვლელი მილი).

ტრახეატომიის შესახებ მოთხრობილია: „ხუნაყის" დროს თუ არ იჯობინოს და სიკვდილისაგან საშიშოთ იყოს, უმჯობესი იგი არს, რომელ ხორხსა ყირყეჭსა ქვეშ გახვრიტოს ორთავე მგრვალთა და რათა სიმსივნისაგან მორჩმით იყო, ხვრელი შეკეროს და ესე სიკვდილსა საშიშრისა ჟამი იქნეს იცოდე".

ამ წიგნში მოცემულია ლაბორატორიული ცნობებიც. მოყვანილია აგრეთვე ავადმყოფობის გამოსაცნობი სხვადასხვა დიაგნოსტიკური ხერხები — ანამნეზის შეკრება და სხვა.

წიგნი არჩევს ექიმის მოვალეობას, ჰკიცხავს უმეცარ ექიმებს და მოუწოდებს მათ მეცნიერებისაკენ: „ექიმთა არ იციან ყოლა აშას მახტსა ვერ შეატყობენ თუ დია მეცნიერი ექიმი... არ არის". „რეგვენთა და უმეცართა აქიმთა მრავალი ჩაუგდია... სნებათა შიგან უმეცრებითა"...

როგორც „წიგნი საექიმოის" შინაარსიდან სჩანს, იგი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ექიმთა სასწავლებლის სახელმძღვანელოდ.

წიგნს დართული აქვს წინასიტყვაობა ფრანგულ ენაზე, მეტად საინტერესო ლექსიკონი და საძიებელი. იგი დიდის სიყვარულით, ენერგიით და საკითხის მეტად გულმოდგინედ შესწავლითაა დამუშავებული.

„წიგნი საექიმოი" საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იგი შეიცავს მრავალ მივიწყებულ ტერმინს. ჩვენს ახალ მედიცინაში მრავალი ნათარგმნი ტერმინია მიღებული, ზოგი მათგანი უხეშად ბგერს, ამ ტერმინთა შესაცვლელად „წიგნი საექიმოი" დიდ სამსახურს გაგვიწევს. საყურადღებოა აქ მოყვანილი წამლებიც. საჭიროა ჩვენმა კლინიკებმა, ფარმაკოლოგიის, ფარმაციის, ბიოქიმიის კათედრებმა და ლაბორატორიებმა მეცნიერულად დაამუშაონ აქ მოყვანილი წამლები.

როგორც წიგნის წინასიტყვაობიდან სჩანს, ექ. კოტეტიშვილი ამზადებს საქართველოს სამედიცინო წერილობითი ძეგლების შესწავლასა და გამოცემას ციკლად: „მედიცინა ძველ საქართველოში". სულ გამოვა 5 ტომი.

ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს. ეს კი მოსახერხებელი იქნება, თუ ამ საქმის ხელმძღვანელობას ხელს მოჰკიდებს მედინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრა, რომელიც უნდა გახდეს ქართული მედიცინის ისტორიის შემსწავლელ ცენტრად.

◆

ქალაქ თბილისის მოქალაქეებს

ქალაქ თბილისის მოსახლეობის აღწერის ბიურო მიმართავს თბილისის ყველა მოქალაქეებს — აცნობონ აღწერის რაიონულ რწმუნებულს მოსახლეობის აღწერის დღეს, 6 იანვარს, მომხდარი ყველა გაუგებრობისა და შესაძლებელი გამორჩენის შემთხვევები შემდეგი მისამართით:

1. ლენინის რაიონი — რაისაბჭო, ტელეფონი № 3—21—04.
2. სტალინის რაიონი — რაისაბჭო, ტელ. № 3—38—02.
3. ორჯონიკიძის რაიონი — რაისაბჭო, ტელ. № 3—08—47
4. 26 კომ. რაიონი — რაისაბჭო, ტელ. № 3—30—07.
5. კიროვის რაიონი — რაისაბჭო, ტელ. № 3—44—60.

ქალ. თბილისის მოსახლეობის აღწერის ბიურო.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

9-I	არსენა
10-I	პლატონ კრეჩეტი

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

9-I წარ. № 78	მზის დაბნელება საქართველოში
10-I წარ. № 79	ძალად ექიმი

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8. 9-30, 11	საქ. სახკინმრ. ხმოვ. ფილმი ძაჯეთი საბრძოლო ოლიმპ და სხვ.
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრ. ფილმი უკანასკნელი განაკი
კომკავშირელი 6-30,8,9-30,11	ხმოვ. მხატვრ. ფილმი პირველი ოცეული
რ. ლუქსემბ. დღით და საღ 6-30.8,9-30,11	საქ. სახკინმრ. ხმოვ. ფილმი ძაჯეთი საბრძოლო ოლიმპიადა. საქკინოქრონიკის ნაწარმ. მე-19 ოქტომბერი საქართველოში.
26 კომ. სახ. 6-30, 8, 9-30, 11	
ახალი ამბები 6 30	ესპანეთის ამბ.—გაძომ. 10 ხმოვ. ჟურ. № 54, მეგობრულ მონღოლეთში

სახცირკი
ტელ. 3-11-44
12 I დღისით
2 წარმოდგ.
კიოს მონაწილ.

დღეს, 9 იანვარს
განსაკუთრებული
მრავალფეროვანი
საცირკო პროგრამა.
უდიდესი საბჭოთა
ატრაქციონის კიო-ს
გამოსვლა
თავისი 25 ასისტენტით.
დასაწ. 8 ს. 30 წ.
სალარო 12-2 ს და 5 ს-დან.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № ., გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67. სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. №68.

მთავლიტის რწმუნებული ე. 8598